F 567 ∽ 3688

ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝ

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲔᲑᲗᲐᲜ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲐ

№ 7 (228) ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ ᲛᲔ-13 ᲬᲔᲚᲘ

1969 ᲬᲚᲘᲡ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ



ᲓᲘᲓᲔᲑᲐ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ!



7 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲡ მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 52-ე წლისთავი. ამ დიადი თარიღის აღსანიშნავად მშრომელთა სადღესასწაულო დემონსტრაციები გაიმართა ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყველა კუთხეში. დიდი ზეიმი გადაიხადა საქართველოს მთაბარმაც. მთელმა მსოფლიომ კიდევ ერთხელ დაინახა ოქტომბრის რევოლუციის ჰუმანიზმის ძალა, მისი ქმედითობა. ახლა ყველამ იცის, რომ ოქტომბერი არა მარტო კაცთმოყვარეობაა, არამედ ვაუკაცური თავდადებული ბრძოლაა სოციალური პროგრესისათვის, დედამიწაზე ადამიანთა ბედნიერებისათვის.

სურათებზე: მშრომელთა ზეიმი და დემონსტრაცია თბილისში, ქუთაისსა და სოხუმში.



ᲒᲐᲚᲐᲙᲢᲘᲝᲜ ᲢᲐᲑᲘᲫᲔ

ᲡᲘᲡᲮᲡ

ᲜᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘ

წინ, წინ სამშობლო მხარევ,
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც
შესძრა მსოფლიო მთელი!
გამოქანება მძლავრი
ცხრაას ჩვიდმეტის ტალღის —
ეს არის ძალა, ნება
და მისწრაფება ხალხის!
ეს არის სული ხალხის,
ეს არის გული ხალხის,
ეს არის ნება ხალხის,
ხალხის და მხოლოდ ხალხის!
წინ, წინ სამშობლო მხარევ,
ჩვენ წინ მიგვიძღვის წრფელი
ის ოქტომბერი, რამაც
შესძრა მსოფლიო მთელი...
დროშაა დიდებული,
გაბრწყინებული, სრული,
ავსწიოთ უფრო მაღლა
ხალხის სული და გული.
დიდი მშვიდობის გრძნობის
მედგრად ტრიალებს ჩარხი,
მშვიდობისათვის მარად
აღგზნებულია ხალხი,
მშვიდობას ითხოვს ხალხი,
მშვიდობას ჰპოვებს ხალხი,
მშვიდობას ჰპოვებს, ჰპოვებს
შეუცდომელი ხალხი!
ეს არის სული ხალხის,
ეს არის გული ხალხის,
ეს არის ნება ხალხის —
ხალხის და მხოლოდ ხალხის!

ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲨᲘ ᲛᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲝ
ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲛᲐᲛᲣᲚᲔᲜᲝ!

ᲒᲐᲖᲔᲗ ᲮᲔᲚᲛᲝᲬᲔᲠᲐ ᲡᲐᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲖᲝ ᲒᲐᲖᲔᲗ
ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲖᲔ 1970 ᲬᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!
ABONNEZ VOUS AU JOURNAL
SAMCHOBLO POUR 1970!



ABONNIERT DIE ZEITUNG SAMSCHOBLO FÜR DAS JAHR 1970!

SUBSCRIBE FOR THE NEWSPAPER SAMSHOBLO FOR 1970!

დგანან კლდეები უზარმაზარნი...

ამ რამდენიმე დღის წინათ ქართული მარგანეცის ქალაქის მშრომელებმა საზეიმოდ აღნიშნეს „შავი ოქროს“ საბადოს სამრეწველო დამუშავების 90 წლისთავი.

აქ ჩამოვიდნენ სტუმრები მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, უკრაინიდან, ლატვიიდან, ურალიდან, თბილისიდან, რუსთავიდან, მეზობელი რაიონებიდან.

ჭიათურელთა ამ ღირსშესანიშნავ ზეიმში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვასილ მჟავანაძემ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანმა მიხეილ გიორგაძემ.

ჭიათურის კულტურის სასახლეში გაიმართა საიუბილეო საზეიმო სხდომა. ზეიმზე მაღაროელებმა სიამაყით მოიგონეს განვლილი გზა, ის სასიქადულო ადამიანები, რომლებმაც დიდი ღვაწლი დასდეს, შრომა და ენერგია არ დაზოგეს, რათა ხალხის სამსახურში ჩაეყენებინათ ერის ეს საგანძური.

ჭიათურელებმა შრომაც კარგი იციან და ლხინიც. გვიანობამდე გრძელდებოდა ზეიმი „შავი ოქროს“ გაჩირაღდნებულ ქალაქში.

ძველ ქართულ ლიტერატურაში თუ გეოგრაფიულ წყაროებში ჭიათურაზე არაფერია ნათქვამი. მხოლოდ ვახუშტი ბაგრატიონთან ვკითხულობთ. „მდინარე ყვირილის იქით და აქეთ კიდენი არს ფრიად მაღალი კლდე და არიან მას შინა ქვაბნი მრავალნი გაბოკვეთილი სახიზნოდ და შეუვალი მტრისაგან და საკვირველი თუ ვითარ უქმნიან“. ახლომახლო ზეგნებზე მცხოვრებნი ადრევე იცნობდნენ შავ ქვას, ან როგორც იქ ეძახდნენ — „ქვა გუნდას“, მაგრამ არაფერი იცოდნენ მის ძვირფასობასა და გამოყენებაზე. 1846 წელს ზემო იმერეთს იმ დროისათვის საკმაოდ ცნობილი გეოლოგი ჰერმან აბიხი ეწვია. მან მეცნიერულად შეისწავლა ჭიათურის საბადო და 1848 წელს კავკასიის მეფის ნაცვალს წარუდგინა კვლევის ანგარიში რუკის ესკიზითურთ. მაგრამ ამაოდ, ამ დიდ აღმოჩენას დუმილით შეხვდნენ.

ვინ იცის, ეს დუმილი სანამ გაგრძელდებოდა, რომ ჩვენს სასიქადულო პოეტს აკაკი წერეთელს არ მიექცია ყურადღება ამ სასარგებლო წიაღისეულისათვის.

მარტო ეს აურაცხელი მადნეულობა საკმაო კი არა, მეტიც იქნება ჩვენი ქვეყნის გასამდიდრებლადო, ფიქრობდა პოეტი. აკაკი ბევრს ცდილობდა და 1878 წელს, როგორც იქნა, მიაღწია მიზანს, შექმნა მარგანეცის კომპანია.

1879 წლის შემოდგომაზე პირველად დაჰკრეს წერაქვი შავი ქვის მადანს. ჭიათურის მთაბში საუკუნეობით დამკვიდრებული სიჩუმე დაირღვა, ქართულმა მარგანეცმა ფეხი აიდგა.

ვისაც კი რევოლუციამდელი ჭიათურა უნახავს, შავი კლდეების გარდა ვერაფრით მიამსგავსებს ახალ ინდუსტრიულ და მჭიდროდ დასახლებულ ლანგარ ქალაქს. სადღაა ის ტალახიანი შარაგზები და ჭუჭყიანი სამიკიტნოები. მაღალ ფერდობებზე მრავალსართულიანი შეხობები წამოჭიმულა. მოასფალტებული და სუფთა ქუჩები აღმართ-აღმართ მიიწევს. დაბიჯებ ამ ქვაბურ ქალაქში და საოცარი გაბწყობილება გეუფლება. სამ წუთში რომელ კლდესაც მოისურვებ, ფრიხველივით ზედ მოექცევი. ეს უკვე კარგა ხანია აღარ აკვირვებთ ჭიათურელებს — მაღაროელთა ლაჟვარდოვანი ცა საჰაერო გზებით არის დახლართული.

ჭართული მარგანეცი საბჭოთა კავშირის ყველა მეტალურგიულ საწარმოსა და უცხოეთის ათობით სახელმწიფოში იგზავნება. ამ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება და დამუშავება უახლეს ტექნიკას ეფუძნება. გუგუნებენ ძლავრი ექსკავატორები, ბულდოზერები, თვითმცლელი ავტომანქანები. მაღარო ახალ ეთხვისში მარგანეცის გამოღების ახალი კომპლექსი დაინერგა. ორშპინდელიანი თვითმავალი საბურღი ურიკა მადანს ანგრევს, შემდეგ კი მომწყვეტი და დამტვირთი კომბაინით იტვირთება ბუნკერ-მატარებელი. ყველა გამამდიდრებელ ფაბრიკაში მიდწეულია საწარმოო ტელეხელდვა, შიგა ტრანსპორტის თვითმართვა ხმამაღლამოლაპარაკე კავშირი, მექანიზმების ავტომატური შეზეთვა და სხვა მრავალი.

პირველად ჭიათურის მაღაროში გამოიყენეს მარგანეცის სქელი ფენების ორ შრედ დამუშავების მეთოდი. საიუბილეო წელიწადს მარგანეცის ქალაქში ახმაურდა ფლოტაციური ქარხანა. სამამულო ტექნიკით აღჭურვილმა ჭიათურის მაღაროებმა ხუთწლედის სამ წელიწადსა და 9 თვეში სამშობლოს გადამეტებით მისცეს 476.720 ტონა სასაჭორლო მარგანეცი და ამით 13.700.000 მანეთი შემატეს ქვეყანას. ჭიათურის მანგანუმის ეუზის მრავალრიცხოვანი კოლექტივის თავდადებული შრომ ჯეროვნად დაფასდა. 1966 წლის გაზაფხულზე მარგანეცის ტრესტს უმაღლესი ჯილდო ლენინის ორდენი გადაეცა.

ინჟინრების — ლევან გომხოთელიანის, მიხეილ აფაქიძის, შერმადინ ბუხრაშვილის, გრიგოლ წიწილაშვილის, ვარლამ ქოიავას, შალვა ახვლედიანის, ივანე ერგემლიძისა და სხვა მრავალთა გამოგონებებმა და რაციონალიზატორულმა წინადადებებმა ბევრად გაამჯობესეს მარგანეცის წარმოება. ჭიათურაში პირველად გაიყვანეს სამგზავრო საჰაერო-საბაგირო გზა. მისი კონსტრუქტორია ამავე ქალაქის მკვიდრი, რესპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი გიორგი ფახეულაია. წლეულს მისივე პროექტით ქალაქის ცენტრში სამმხრივი სახალხო საჰაერო-საბაგირო გზა გაკეთდა.


ჭიათურაში ბევრი სახეოვანი მამულიშვილი შრომობს და მოღვაწეობს. ვინ არ იცნობს სამგზის ლენინის ორდენოსან, სოციალისტური შრომის გმირს ტრიფონ ფოფხაძეს, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელებს. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს გიორგი ბაჭრაძესა და დავით კილაძეს, ელმავლის მემანქანეს, სოციალისტური შრომის გმირს პეტრე გოგატიშვილს...

დიდი ძვრები მოხდა ჭიათურელთა კულტურულ ცხოვრებაში. ქალაქად და სოფლად ასამდე სკოლა, მუსიკალური სასწავლებელი, ბაგა-ბაღია. აქაური მუშა-მოსამსახურეები წარმოებისაგან მოუწყვეტლად ეუფლებიან სამთო უმაღლეს განათლებას საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ჭიათურის ფილიალში. ტრესტმა მაღაროელთა შვილებისათვის მაღალ მთაზე ლამაზი პიონერთა სასახლე ააგო, ხოლო ქვერეთსა და ბიჭვინთაში — კეთილმოწყობილი დასასვენებელი სახლები და სანატორიუმები.

ჭიათურის მშრომელთა საინტერესო და შინაარსიან ცხოვრებას ამშუქებს ყოველდღიური გაზეთი „ჭიათურის მაღაროელი“. წლეულს გამოვიდა ჭიათურელი ახალგაზრდა პოეტებისა და მწერლების ნაწარმოებთა კრებული. ამ კრებულს ყველაზე ლამაზი კლდის — სახშევარდნოს სახელი ჰქვია. ჭიათურის მშვენებაა 75 წლის სახელმწიფო დრამატული თეატრი, რომელიც აკაკი წერეთლის სახელს ატარებს.

ამ საზეიმო დღეებში ლენინის ორდენოსანმა ჭიათურამ წარგანეცის წარმოებისა და ხალხთა კულტურულ ცხოვრებაში მიღწეული წარმატებები შეაჯამა. გუსურგოთ ვის გაჯერ და მოუსვენარი ფიქრის ადამიანებს კიდევ უფრო ბედნიერი და ლამაზი მომავალი.

ეუეუნა ნეფარიძე



სურათზე: ჭიათურა დღეს.

მაღაროს გერმუხა

16 წლისა იყო, მაღაროს დირექტორს სამუშაო რომ სთხოვა. კეთილი გულისა და კაცური ბუნების ჭაბუკი, რომლის დაკუნთულმა მკლავებმა დაღლა არ იცოდა, ყველამ შეიყვარა. შრომასა და ახლის ძიებაში გადიოდა წლები. ერთი დიდი ოცნება ჰქონდა, — პირველი მნგრეველის სახელი დაეგდო. ალექსი სტახანოვის გმირობამ მთლად დაუკარგა მოსვენება — აი ვის უნდა მივბაძო, ვის უნდა გავყვე კვალშიო... და გაჰყვა, ოცნება აისრულა: ერთ ცვლაში 9 ტონის ნაცვლად 55 ტონა შავი ქვა მოანგრია. უნდა გენახათ, როგორი ზეიმით აღინიშნა ვასილ სამხარაძის ეს გამარჯვება მთელ ჭიათურაში. დიდი თუ პატარა პენრეველის მაღაროს მიაწყდა. ყველას უნდოდა საკუთარი თვალით ენახა კაცი, ვინც ასეთი არნახული გმირობა ჩაიდინა.

სადაც უნდა გამოჩენილიყო, ცნობდნენ, აჩერებდნენ, ხელს ართმევდნენ, ავტოგრაფს სთხოვდნენ. უამრავ წერილს იღებდა, ვინ არ სწერდა, მუშა თუ სტუდენტი, მეჩაიე თუ დიასახლისი...

არასოდეს ამოიშლება ვასილის მეხსიერებიდან 1936 წელი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 15 წლისთავთან დაკავშირებით 150 კაცისაგან შემდგარი დელეგაცია კრემლს ეწვია. ვასილს სიტყვით გამოსვლა დაავალეს. თავის თავზე ბევრი არ უთქვამს, უფრო მეგობრებზე იოაპარაკა. მეორე დღეს გაზეთი „პრავდა“ წერდა: ჭიათურელი მაღაროელი, სტახანოველი ვასილ სამხარაძე თავისი სიტყვითა თუ გარეგნობით თითქოს განასახიერებს სოციალიზმის დიდ მონაპოვრებს საქართველოშიო.

ღირსეულად დაფასდა ვასილის შრომა — ლენინის ორდენით დაჯილდოდეს.

არ გაყოყოჩებულა, კიდევ უფრო გულდაგულ შეება საქმეს. ჩამორჩენილ უბანში გადავიდა და სულ მალე მოწინავე გახადა. მუშაობაზე გულაცრუებულებს რწმენა დაუბრუნა, საკუთარი მაგალითით აღაფრთოვანა და აიყოლია სხვებისაგან დამალული არაფერი ჰქონდა, რაც იცოდა, ყველას გაუნაწილა.

შემდეგ ზემო იმერეთის მშრომელებმა ძალზე დიდი ნდობა გამოუცხადეს — საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პირველი მოწვევის დეპუტატად აირჩიეს. აქაც ისახელა თავი. ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო სარედაქციო კოლეგიისა, რომელმაც საბჭოთა კონსტიტუციის პროექტი შეადგინა.

იმ ხანებში ვასილ სამხარაძე ორჯონიკიძის სახელობის მაღაროს დირექტორად დანიშნეს. ზუსტად ათი წელიწადი დასჭირდა იმისათვის, რომ გავლო გზა მაღაროს რიგითი მუშიდან დირექტორამდე. ახალმა თანამდებობამ დიდი გამოცდის წინაშე დააყენა, რამდენი უძილო ღამე გაათენა, მაგრამ ერთი წუთითაც არ შეფერხებულა, ყოველ დღეს ახალ-ახალ წარმატებას აღწევდა. გულახდილად რომ ვთქვათ, დირექტორის კაბინეტს ისევ მაღარო ერჩივნა, მაგრამ დაავალეს და უკან დახევა აღარ შეიძლებოდა. საქმეს ჩვეული მონდომებით შეუდგა და აგერ 42 წელიწადია ორჯონიკიძის სახელობის მაღარო რესპუბლიკაში ერთ-ერთი მოწინავეა.

წლები გადის, მაგრამ ვასილ სამხარაძეს კვლავ საქართველოს მოწინავე ადამიანთა შორის იხსენიებენ. თვითონ განსაჯეთ, მაღაროს, რომელსაც ვასილი უდგას სათავეში, წლევანდელი გეგმა მაისში შეასრულა და მეექვსე თვეა 1970 წლის ანგარიშში მუშაობს.

კაბინეტში იშვიათად ნახავთ. უფრო იქ არის, სადაც „შავ ოქროს“ იღებენ ყოველ მუშას ღვიძლი შვილივით იცნობს. ადამიანებს კი არა, რომ დასჭირდეს, მანქანებსაც გაესაუბრება.

ამ დღეებში ქართველმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ჭიათურაში მარგანეცის მოპოვების 90 წლისთავი. აქედან თითქმის ნახევარი, უფრო ზუსტად — 43 წელიწადი ვასილ სამხარაძემ იმ ადამიანთა შორის გაატარა, რომლებიც ამ დიდ ზეიმს საკუთარ ზეიმად მიიჩნევენ.

კაცმა მთები შეძრა და აბა, სიბერე რას დააკლებს! ბერმუხა კვლავაც მრავალჯერ დაგვალოცვინებს გამრჯე მარჯვენას.

ჩვენი კალენდარი

ქართული სცენის მშვენება

ქართველ საბჭოთა მსახიობს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს თამარ ჭავჭავაძეს დაბადების 70 წლისთავი შეუსრულდა.

1922 წლიდან მოყოლებული, სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე, თამარ ჭავჭავაძე თეატრალურ სარბიელზე მოღვაწეობდა და ოსტატური თამაშით ხიბლავდა მაყურებელს. თეატრში, კინო-ეკრანებზე თუ ესტრადაზე — ყველგან ელავდა მსახიობი ქალის ხალასი ნიჭი. რუსთაველის სახელობის თეატრში მან შექმნა მრავალი დაუვიწყარი სახე. მის ხმას, მის სიტყვას ჰქონდა უჩვეულო, თავისებური ელეარადობა, რაც ატყვევებდა მსმენელს.

უშანგი ჩხეიძის სიტყვით, „თამარ ჭავჭავაძეს წილად ხვდა ყოფილიყო ქართულ თეატრში კოტე მარჯანიშვილის პირველი დადგმის მებაირახტრე, რომელიც მან ღირსეულად აიტანა იმ მწვერვალამდე, რომელსაც მიაღწია ქართულმა თეატრმა მაშინ“.

თამარ ჭავჭავაძე ჩვენი ერის ისტორიაში დარჩება როგორც ქართული სცენის მშვენება, საამაყო მამულიშვილი.

ხალხის სამსახურში

რამდენიმე დღის წინათ კინოთეატრ „კოსმოსში“ ქართველი საზოგადოებრიობა გულთბილად მიესალმა გამოჩენილ კინორეჟისორს, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს, სახელმწიფო პრემიების ლაურეატს მიხეილ ჭიაურელს, რომელსაც დაბადების 75 წელი შეუსრულდა.

საღამო გახსნა რესპუბლიკის სახალხო არტისტმა რეჟისორმა რეზო ჩხეიძემ. მან ილაპარაკა ჭიაურელზე, როგორც დიდ შემოქმედზე, მსახიობზე, მხატვარზე, მოქანდაკეზე, მუსიკოსზე, მომღერალზე, რეჟისორზე. ხელოვნების რომელი დარგისთვისაც არ უნდა მოეკიდა ხელი ჭიაურელს, იგი ისეთივე დიდი შემოქმედი იქნებოდა, როგორიც რეჟისორია.

ცნობილ ფრანგ კინოკრიტიკოსს ჟორჟ სადულს ჭიაურელის ფილმები მსოფლიო მონუმენტური კინოხელოვნების შედევრად მიაჩნია. დიმიტრი შოსტაკოვიჩი უდიდეს ბედნიერებად თვლის „კინოს ჯადოქართან“ — ჭიაურელთან მუშაობას. მის შემოქმედებას მრავალჯერ მოუხიბლავს იოზენშტეინი, ვსევოლოდ ვიშნევსკი, მარტიროს სარიანი და სხვები.

იუბილარს მიესალმნენ და მის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ილაპარაკეს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა გუგული ბუხნიკაშვილმა და ვახტანგ ბახტაძემ, უნივერსიტეტის სტუდენტმა ლალი მამასახლისმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა სპარტაკ ბაღაშვილმა, ჭარხანა „მაგნიტოფონის“ ინჟინერმა მანანა ახობაძემ, კინოთეატრ „კოსმოსის“ დირექტორმა დავით ავალიანმა, სახელმწიფო ფილარმონიის მეცნიერმა მუშაკმა მედეა მიქელაძემ. გულთბილად მიესალმა იუბილარს მისი ცხოვრების ხანგრძლივი თანამგზავრი — საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე.

— მე მოველ ქვეყნად მხოლოდ სიკეთისათვის, მხოლოდ იმისათვის, რომ კარგი დამეთესა, — თქვა სპასუხო სიტყვაში იუბილარმა, — ჩემი ცხოვრების თითოეული დღე ხალხის სამსახურს შევალიე და ახლა მოხარული ვარ, მადლობის სიტყვებს რომ ვისმენ თქვენგან.

იმ საღამოს მაყურებლებმა ნახეს ნაწყვეტები ფილმებიდან „ბერლინის დაცემა“ და „დაუვიწყარი 1919 წელი“. გაიმართა აგრეთვე მულტიპლიკაციური ფილმის — „როგორ დამარხეს თაგვებმა კატა“ — პრემიერა.

ისნაულიან ჭიათურაში

საქართველოს დედაქალაქში ჩამოსულმა ოთხმოცმა ვიეტნამელმა ახალგაზრდამ შრომის წითელი დროშის ორდენოსან მე-6 პროფტექნიკურ სასწავლებელში დაიწყო ბინა. ორ წელიწადში ისინი მგლინავის, მღარავისა და ელექტროშემდუღებლის პროფესიებს დაეუფლებიან. მათთვის ყოველგვარი პირობაა შექმნილი სწავლის, შრომისა და გონივრული დაკვნებისათვის.



მეგობრობისა და ძმობის დევიზით

ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომელიც 10 დღეს გაგრძელდა, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის ნამდვილ დღესასწაულად იქცა. ჩვენი ხალხის უდიდესი სიმდიდრე — კულტურისა და ხელოვნების საუკეთესო ნიმუშები — ქართველმა სტუმრებმა გულწრფელად გამოიტანეს გერმანელი მასპინძლების სამსჯაროზე და მათი დიდი მოწონება დაიმსახურეს.

დღესასწაული ჯერ კიდევ ჩვენი კულტურის დღეების ოფიციალურ გახსნამდე, 31 ოქტომბერს დაიწყო, როცა გერმანელმა მეგობრებმა ბერლინის აღმოსავლეთ ვაგზალში — ოსტბანჰოფში ძალზე თბილი შესვედრა მოუწყეს თბილისიდან სპეციალური მატარებლით ჩამოსულ ქართული კულტურისა და მეცნიერების დესპანებს.

ვაგზალზე მოვიდნენ მასპინძელი ქვეყნის კულტურის მინისტრი კლაუს გიზი, მისი მოადგილეები ჰაინცაკე და ბორკი, სამინისტროს სხვა პასუხისმგებელი მუშაკები, სსრ კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში პეტრე აბრასიმოვი, სამინისტროების, მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიების, შემოქმედებითი კავშირების წარმომადგენლები, ბერლინელი მუშები და მოსამსახურეები, მოსწავლეები. ვაგზალზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ კულტურის მინისტრებმა კლაუს გიზიმ და ოთარ თაქთაქიშვილმა წარმოთქვეს მისასალმებელი სიტყვები. და სწორედ ამ ვაგზლიდან აიღო სტარტი მეგობრობამ, ძმობამ, ურთიერთგაგებამ...

საქართველოს დელეგაციის თითოეული წევრი უდიდესი პასუხისმგებლობით მოეკიდა დაკისრებულ მისიას. ქართულმა ანსამბლებმა და ცალკეულმა მომღერლებმა დაატკბეს უცხოელთა სმენა, ცეცხლოვანმა ცეკვებმა აღტაცებაში მოიყვანეს მასპინძლები, ხოლო ჩვენი გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშებმა მნახველთა საუკეთესო შეფასება დაიმსახურეს.

დიდი მოწონება ხვდათ წილად ქართული სახვითი ხელოვნების, ნიკო ფიროსმანაშვილის, ელენე ახვლედიანის გამოფენებს, აგრეთვე სხვადასხვა ფოტოგამოფენას.

სახალხო მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა დრეზდენის სახელგანთქმულ მუზეუმს საჩუქრად გადასცა თავისი ერთერთი ბოლო ნამუშევარი. დრეზდენის სახელმწიფო მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დოქტორმა მანფრედ ბახმანმა თქვა შესანიშნავი ქართველი მხატვრის ტილო ყოველთვის იქნება „ალბერტინუმის“ ექსპოზიციაშიო.

ჩვენი ხელოვნების ოსტატთა წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ ბერლინში სპეციალურად ჩამოფრინდნენ უცხოელი იმპრესარიოები, რომლებსაც სურთ საქმიანი ურთიერთობა დაამყარონ საქართველოს ფილარმონიასთან. მონტე-კარლოსა და ესპანეთში საგასტროლოდ იწვევენ საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის დამსახურებულ ანსამბლს ანზორ კავსაძის ხელმძღვანელობით. ლონდონელმა იმპრესარიომ ტომოზომ ინგლისში საგასტროლოდ მიიწვია საქართველოს სახელმწიფო კამერული ანსამბლი მარინე იაშვილის ხელმძღვანელობით და სახელმწიფო ტრიო ლიანა ისაკაძის, მარინე მდივნისა და თამარ გაბარაშვილის შემადგენლობით.

ლექცია-მოხსენებათა უმრავლესობა, რომლებიც ქართველმა მეცნიერებმა წარადგინეს, გერმანულ ენაზე იკითხებოდა.

პრესამ აღფრთოვანებული წერილები უძღვნა სტუმრების ყოველ გამოსვლას. გაზეთმა „ნაციონალ ცაიტუნგმა“ მთელი გვერდი დაუთმო ქართულ ხელოვნებას. ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ორგანო, გაზეთი „ნოიე ცაიტი“ ქართველებმა მონაწილეობა მიიღეს 7 ნოემბრისათვის მიძღვნილ საზეიმო საღამოშიც. რადიომ და ტელევიზიამ მოაწყო მათი გამოსვლების ტრანსლაცია.

ქართული კულტურის დღეებში ჩვენმა სამხარეულომაც ისახელა თავი, პირველიდან 10 ნოემბრამდე დრეზდენში, კარლ-მარქს-შტადტში, გურასა და ზულში ქართული რესტორნები უმასპინძლდებოდნენ სტუმრებს.

— მოჯადოებული ვართ, — განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის მინისტრმა გიზიმ, — ქართული ღვინის შესანიშნავი სურნელებითა და ეროვნული კერძებით.

რესტორან „რატეკიოლერის“ დირექტორმა ურსულა დომინიკმა გადაწყვიტა რესტორნის მუდმივ მენიუში შეიტანოს ხაჭაპური, ტაბაკა, შემწვარი გოჭი, ღორისა და ცხვრის მწვადები.

შთაბეჭდილებათა წიგნი აღტაცებული ჩანაწერებით არის სავსე, ბერლინის გაზეთები კი წერდნენ: „თუ ქართული კერძი არ გიგემნიათ, საკუთარი თავის მტერი ყოფილხართ“.

დამთავრდა ჩვენი ხელოვნების ჩვენება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დამთავრდა ოფიციალური შეხვედრები და ბანკეტები, მაგრამ გრძელდება მეგობრობა გერმანელ და ქართველ ხალხს შორის, რომელიც კიდევ უფრო განმტკიცდება მომავალი შეხვედრებით.

ქართველ მეცნიერთა შესანიშნავი გამარჯვება

□

საავდრო ღრუბლებს ყოველთვის შიშით შეჰყურებს მიწის ეუშა. ვინ მოთვლის, რამდენჯერ გაუნადგურებია სეტყვას გლეხკაცის მთელი წლის ნაამაგარი. განსაკუთრებით მევენახეებს მტრობდა სტიქია.

ბუნების ბევრი კაპრიზი დაემორჩილა ადამიანის აზრსა და გონებას. სეტყვა კი კვლავ სოფლის მეურნეობის უპირველეს მტრად რჩება. მისი დამარცხება ბევრჯერ სცადეს, მაგრამ ამაოდ...

და აი საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის მეცნიერთა დიდი ხნის დაკვირვებისა და ძიების შედეგად შეიქმნა სეტყვის საწინააღმდეგო რაკეტა. ასრულდა მშრომელი კაცის საუკუნეობრივი ოცნება. სეტყვამ უკან დაიხია. ამ რაკეტების ეფექტიანობაზე ისიც მეტყველებს, რომ მისი დანერგვა უკვე დაიწყეს უკრაინაში, მოლდავეთსა და ბულგარეთში.

რამდენიმე დღის წინათ ცენტრალურ გაზეთებში გამოქვეყნდა ცნობა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში სსრ კავშირის 1969 წლის სახელმწიფო პრემიების მინიჭების შესახებ. დაჯილდოებულთა შორის არიან ჩვენი თანამემამულეებიც. რაკეტებისა და ჭურვების გამოყენებით სეტყვასთან ბრძოლის მეთოდისა და საშუალებების დამუშავებისა და დანერგვისათვის სახელმწიფო პრემიები მიენიჭათ ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ნოდარ ბიბილეიშვილს, გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორს ალექსანდრე ბუხნიკაშვილს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა კანდიდატს ამირან ქარცივაძეს, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სეტყვასთან ბრძოლის სამსახურის ყოფილ უფროსს ბენიტო კიზირიას და გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორს გიორგი სულაქველიძეს.

ეს ქართველ მეცნიერთა კიდევ ერთი შესანიშნავი გამარჯვებაა.

ძველი მუსიკის ფესტივალი

ევროპელი ხალხი უაღრესად მუსიკალური და, რაც მთავარია, მუსიკაში უაღრესად განსწავლულია. შემთხვევითი როდია, რომ ვარშავაში, კრაკოვში, ქალეზნოვოვოლიასა და ბიდგოშში ტრადიციულად ეწყობა საერთაშორისო ინტერნაციონალური ფესტივალები. წელეულს ბიდგოშის II ინტერნაციონალურ ფესტივალზე წარმოდგენილი იყო V-XVIII საუკუნეების მუსიკა. მონაწილეობდნენ სხვადასხვა ქვეყნის ცნობილი ანსამბლები და შემსრულებლები. ამ პასუხსაგებ ფესტივალზე მსმენელთა წინაშე პირველად წარდგა ჩვენი სახელოვანი შვიდკაცა — „გორდელა“.

კონცერტის დაწყების წინ მსმენელებს გუამბე ქართულ მუსიკაზე, უძველესი, წარმართული პერიოდიდან მოყოლებული XIII საუკუნემდე. რადგან ჩემი გამოსვლა ქართული მუსიკის პროპაგანდას ისახავდა მიზნად, „გორდელას“ ყოველ ნომერს წინ ვურთავდი უაღრესად კონკრეტულ ანოტაციას. „გორდელას“ წევრები, ცხადია, ღელავდნენ, მაგრამ ახალგაზრდულმა მისწრაფებამ და პასუხისმგებლობამ მაინც თავისი გაიტანა. ხმის გასავარჯიშებლად ბიჭებმა წამოიწყეს მრავალრიცხოვანი და ტემპიანი „ნამგლური“. აუდიტორიისათვის უცხო იყო ეს ხალასი ხალხური მუსიკა და იგი გაიტრუნა, დაიძაბა. „ნამგლურს“ მოჰყვა „შენ ხარ ვენახის“ ქართლური და გურული ვარიანტი. მსმენელებს შევატყე, რომ გაკვირვება მოწონებაში გადაეზარდათ. მოვსინჯეთ კიდევ ერთი გურული საგალობელი და მესამე ხმის კანონიკური საგალობელი, და როდესაც კრიმანჭულმა „ალიფაშაში“ თავისი სიტყვა თქვა, ისე იფეთქა ტაშმა, რომ დარბაზი შეიძრა. ანსამბლმა ხელმეორედ გაიმეორა სიმღერა. ფინალი საკულტო საგალობლების შემდეგ ისევ „ოდოია“ იყო, რომელმაც დააგვირგვინა „გორდელას“ წარმატება.

კონცერტმა დიდი შთაბეჭდილება დატოვა სპეციალისტებზე. პოლონელებმა ადვილად გაუგეს გემო ჩვენს ხალას ხალხურ სიმღერებს. ფესტივალის ორგანიზატორმა მაგისტრმა ანჯეი შვალბემ მომილოცა ანსამბლის წარმატება და საჯაროდ განაცხადა: რა მუსიკალური ნიჭი და ყური უნდა ჰქონდეს იმ ერს, რომელსაც ასე ლოგიკურად, მაღალმხატვრულად ეხერხება მრავალხმიან სიმღერებში დისონანსების ლოგიკური და მხატვრული განვითარება. ეს არქაული დისონანსები ისე ჟღერენ, როგორც ულტრათანამედროვე მუსიკის ინტონაციებიო. ძალზე სასიამოვნო იყო ასეთი შექება, თუმცა ეს აზრი უფრო ადრე გამოთქვა და დაწერა მუსიკის სამყაროს ისეთმა კორიფემ, როგორიც იგორ სტრავინსკია.

ჩვენი ანსამბლის გამარჯვებაზე ისიც მეტყველებს, რომ „გორდელა“ ხელმეორედ მიიწვიეს ბიდგოშის საერთაშორისო ფესტივალზე. პოლონელები ხუმრობდნენ: ქართველებმა სამხმიანი სიმღერების შესასრულებლად შვიდი კაცი ჩამოიყვანეს და ყველაფერი მშვენივრად ჟღერდა, ზოგიერთებმა კი ერთხმიანი სიმღერების შესასრულებლად ასი კაცი ჩამოიყვანეს და ბოლომდე თავი ვერ გაართვეს ძირითად მიზანსო.

თუ წინათ საერთაშორისო კონგრესებზე მხოლოდ მუსიკალური ფოლკლორი გაჰქონდათ, წელეულს შესაძლებლობა მომეცა პირველად წარმომედგინა თემა — „X-XIII საუკუნეების ქართული მუსიკალური კულტურა“. ჩემს მოხსენებას თან ახლდა 50 დიაპოზიტივი, სადაც ასახული იყო ქართული მუსიკალური ხასიათის ხელნაწერები, ძველი კულტურის ქვერები, ქართული ხელოვნების ნიმუშები. ფილარმონიის ფოიეში გაკრული იყო მიქელ მოდრეკილის, ალავერდის ძილისპირების, გელათის სახარების გკფონეტიკურნიშნებიანი ფოტომასალა. მოხსენებისადმი ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ მასპინძლებმა 15 წუთის ნაცვლად 45 წუთი დამითმეს, ვფიქრობ, ამ დროსაც გადავამეტე. მომავალ კონგრესზე ბიდგოშში, სადაც კვლავ მიწვეული ვარ, წავიკითხავ მოხსენებას იოანე პეტრიწის მუსიკალურ-ფილოსოფიური კონცეფციის შესახებ.

პროფესორი
ვაჟა გვახარია,
ჰენდელის საერთაშორისო
პრემიის ლაურეატი

III საკოლმეურნეო

ორ დღეს გაგრძელდა საქართველოს კოლმეურნეთა III ყრილობა.

დედა-თბილისი გულმხურვალედ შეეგება ჩვენს სახელოვან მემინდვრეებსა და მევენახეებს, მეჩაიეებსა და მეციტრუსეებს, მეხილეებსა და მეცხოველეებს. საქართველოს მრავალდარგოვანმა კოლმეურნეობებმა თავიანთ ყრილობაზე წარმოგვიდგინეს შრომაში. ნაწრთობი ადამიანები, ნოვატორები, სიუხვის ოსტატები.

ყრილობაზე მოვიდნენ სოფიო ბაზანდარაშვილი და კობა ჩოხელი, მიხაკო ორაგველიძე და დავით მანგოშვილი, ნიკო მამაიაშვილი და ვალერიან კუპრეიშვილი... კოლმეურნეები, რომლებმაც საქართველოში საკოლმეურნეო მშენებლობის აკვანი დაარწიეს.

მოვიდნენ თამარ უუფუნია და ტატიანა ჩხაიძე, ალექსანდრა ადლეიბა და ზინაიდა ოქრომჭედლიშვილი, ნიკო ყოჩიაშვილი და ივანე ბაიდოშვილი... ადამიანები, რომლებმაც მოსავლის სიუხვით, სოფლის მეურნეობაში ხიახლის დანერგვით საყოველთაო აღიარება და სახელი მოიხვეჭეს.

მოვიდნენ ჩვენი მომავლის იმედი — კოლმეურნე ახალგაზრდები. ლამარა ჩხაიძე და ქეთევან გოგიტიძე, კლავდია ნაცვალაძე და ილია ტაკიძე, თამარ ჯაში და შოთა ეცადაშვილი... ასე სახელოვნად რომ განაგრძობენ მამა-პაპათა ტრადიციებს.

ბევრი კოლმეურნე-დელეგატის მკერდზე ბრწყინავდა თავღადებული შრომით მოპოვებული უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის ვარსკვლავი.

ყრილობამ განიხილა კოლმეურნეობის ახალი სანამუშო წესდების პროექტი. ამ საკითხზე ვრცელი მოხსენებით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ვასილ მჟავანაძე.


მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა აიღეს მახარაძის, წალენჯიხის, ამბროლაურის, ასპინძის, თელავის, საგარეჯოს, ყვარლისა და სხვა რაიონების წარმოგზავნილებმა. მათი საუბრის საგანი იყო საკოლმეურნეო შრომის შემდგომი აღმავლობა, მშრომელთა სამუშაო და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

ყრილობის მონაწილეებმა განიხილეს და მოიწონეს სასოფლო-სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების პროექტი, აირჩიეს კოლმეურნეთა III სრულიად საკავშირო ყრილობის დელეგატები.

• • •

სურათებზე: კოლმეურნეთა ყრილობის დარბაზში. ქვევით — ცნობილი ქართველი მწყრალი მარიკა ბარათაშვილი შესვენების დროს ახალგაზრდა კოლმეურნეებთან.

სიმონ კილაძის ფოტო





ჩვენი სისხლი და ხორცი

ძვირფასო თანამემამულენო!

საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებში, განსაკუთრებით ახალგაზრდობას შორის, დედაენისა და წერა-კითხვის გადავიწყებამ თუ უცოდინარობამ განაპირობა ქართული ენის თვითმასწავლებლის გამოცემის საჭიროება.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების V პლენუმმა, რომელიც შედგა 1967 წლის ნოემბერში, წამოჭრა ეს საჭირბოროტო საკითხი. საზოგადოების პრეზიდიუმმა კი 1968 წლის სხდომებზე იმსჯელა გარეჭართველთათვის თვითმასწავლებლის შედგენის საკითხზე.

ქართული ენისა და წერა-კითხვის თვითმასწავლებლის მომზადებისა და გამოშვების სამუშაოები, სახელდობრ, საჭირო ორგანიზაციებთან ურთიერთობა, ავტორთა შერჩევა, სახელმძღვანელოს ტექნიკური რედაქცია, ტექსტის აწყობა, ბეჭდვასთან დაკავშირებული პროცედურების თვალყურის დევნება და სხვა საკითხების მოგვარება საზოგადოების პრეზიდიუმმა დაავალა ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს, ჩვენი საზოგადოების პრეზიდიუმის წევრს ამირან ცამციშვილს, რომელიც დაკისრებულ მოვალეობას პასუხისმგებლობით მოეკიდა და სპეციალისტთაგან დადებითად რეცენზირებული და მოწონებული ქართული ენის თვითმასწავლებლის ხელნაწერის გამოცემა განახორციელა.

და აი ამჯერად უკვე ხელთა გვაქვს საფრანგეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის და ფრანგულის მცოდნე ქართველოლოგებისათვის განკუთვნილი და ხელმისაწვდომი, ნუნუ ქადეიშვილისა და როგნედა ღამბაშიძის მიერ შედგენილი სახელმძღვანელო რვეულების სახით. უკვე დასტამბულია 9 რვეული (სულ გამოვა 17) და ჩვენი საზოგადოება უგზავნის მათ „სამშობლოს“ მკითხველებს დღევანდელ ნომერთან ერთად.

ქართული ენის თვითმასწავლებლის შედგენას, რედაქტირებასა და გამოცემას დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტმა, ჩვენი პრეზიდიუმის წევრმა აკადემიკოსმა რაფიელ დვალმა, ქართული ენის გამოჩენილმა მკვლევარმა ივანე გიგინეიშვილმა და ფრანგულ ენაზე „ვეფხისტყაოსნის“ მთარგმნელმა სერგი წულაძემ.

აღსანიშნავია ის წვლილიც, რომელიც შეიტანეს ამ საქმეში გამომცემლობა „მეცნიერების“ დირექტორმა შოთა შენგელიამ, სტამბის უფროსმა რევაზ გრიგოლიამ, ფერადი ბეჭდვის კომბინატის დირექტორმა გაბრიელ გოგიჩაიშვილმა, საამწყობო, საბეჭდი და საამკინძაო საამქროთა მუშაკებმა.

„ქართული ენის თვითმასწავლებლის“ რვეულების გამოცემაში დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სატმბის ასოთამწყობს ნადია ხომასურიძეს.

ჩვენი საზოგადოების პრეზიდიუმს გადაწყვეტილი აქვს მომავალშიც გამოსცეს ლიტერატურა იმ ქართველთა დასახმარებლად, ვისაც სურს შეისწავლოს თავისი დედაენა. მოხარულნი ვიქნებით, თუ ჩვენი თანამემამულენი შეგვატყობინებენ თავიანთ აზრს „თვითმასწავლებლის“ შესახებ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების პრეზიდიუმი.

სადაურსა სად წაიყვანს...

ოჯახის მამამ ალექსანდრე ჯაველმა ყველაფერი დაკარგულად ჩათვალა და სინამდვილესთან შერიგებას გაცლა ამჯობინა...

გზად დამდგართ ათასობით კილომეტრის გავლასთან ერთად ათასი ჭირვარამის გადატანაც მოუხდათ.

— მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლაო — ასე რომ არავინ ეტყოდათ, თავიდანვე იცოდნენ, მაგრამ ამდენი გაჭირვება თუ შეხვდებოდათ, ვერ წარმოედგინათ. ქუჩაში წაქცეულს გამკითხავი არ ჰყავდა და მოწყურებულს — წყლის მიმწოდებელი. შფოთითა და წინააღმდეგობით აღსავსე სინამდვილე ევროპელებს ნაკლებ დროს უტოვებდა სენტიმენტალობისათვის...

ასე იყო თუ ისე, 1929 წლის შემოდგომაზე ალექსანდრე ჯაველი ცოლით და სამი შვილით ბრიუსელში ჩავიდა და იქ დასახლდა.

ოჯახის თითოეულ წევრს ბედმა თავისი არგუნა, სულ რაღაც შვიდ წელიწადს იცოცხლა ნინო ხუჯაძემ და სამი შვილი მამის ანაბარა დარჩა. დიდი ღღე არც ალექსანდრე ჯაველს ეწერა. ცხოვრების ავბედითობა ამ გულწვიად კაცსაც მისწვდა და ბელგიის მიწას კიდევ ერთი ქართველი ემიგრანტი მიებარა...

უსამშობლო, წარმოუშობით ქართველი...

ჯაველების ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს — ოთარს, სწავლის დაუოკებელმა წყურვილმა შეუძლებელი შეაძლებინა. დღისით ბრიუსელის აკადემიაში არქიტექტურის ფაკულტეტზე ლექციებს ისმენდა, საღამოობით კი მუშაობდა. დიპლომის მიღებამდე ცოტაღა იყო დარჩენილი, მეორე მსოფლიო ომის ხანძარი რომ დაითხო. ყველა პატრიოსანი ბელგიელი იარაღით ხელში შეხვდა მტერს. ქართველმა ჭაბუკმაც განაცხადა სურვილი იმ ქვეყნის თავისუფლება დაეცვა, სადაც ცხოვრობდა, მაგრამ, როგორც უცხოელს, ჯარში გაწვევაზე უარი უთხრეს. მაშინ საფრანგეთში გადავიდა და „უცხოელთა ლეგიონში“ ჩაეწერა.

ჩრდილოეთ საფრანგეთში მიიღო ლეგიონმა ომის პირველი ნათლობა. შემდეგ ბრძოლით იხევდა უკან და როდესაც სამხრეთ საფრანგეთში ჩავიდნენ, 20 ათასი კაცისაგან 4 ათასიღა დარჩა ცოცხალი. ლეგიონი დაიშალა, ოთარ ჯაველს მომავალზე უნდა ეფიქრა.

თავდაპირველად საფრანგეთში დარჩენა გადაწყვიტა. მაგრამ უარით გაისტუმრეს — ბელგიიდან ჩამოსული ხარო. ბრიუსელში ჩავიდა, არც იქ მიიღეს — საფრანგეთის ჯარში იბრძოდი და საფრანგეთშივე უნდა დარჩენილიყავიო...

კინაღამ ბოლმამ დაახრჩო... თუმცა, რაღა ეთქმოდა თუ მის პასპორტშიც ასე ეწერა — „წარმოშობით ქართველი, უსამშობლო“...

ბრიუსელი, კონგო, პარიზი

როგორც იქნა, ოთარმა არქიტექტორის დიპლომი მიიღო. ახლა სამუშაოს შოვნა იყო მთავარი. ნიჭიერ ახალგაზრდას მალე გამოუჩნდა პირველი დამკვეთი. და აი არქიტექტორი ოთარ ჯაველი სახლებს აშენებს ლიეში, ბრიუსელში... ბელგიაში ახლა სულ ცოტა 200 სახლია, რომლის ავტორი ქართველი კაცია. ნახელავს ყოველთვის უჭედნენ. შემკვეთი კმაყოფილი რჩებოდა.

თვითონ იყო მხოლოდ დიდ სიხარულს მოკლებული. სხვაგან სასახლეების აგებას სამშობლოში ერთი ქოხის აშენება ერჩია, მაგრამ ამას ხმამაღლა ვერავის ეუბნებოდა, თუმცა, რომც ეთქვა, ვინ გაუგებდა.

წლები წლებს მისდევდა. ოთარმა იპოვა ცხოვრების მეგობარი, რომელიც თხუთმეტი წელიწადია გულის ნადებსაც უგებს და ჭირსა თუ ლხინს მასთან ერთად იზიარებს.

ერთერ რუხაძე და ოთარ ჯაველი კონგოში დაქორწინდნენ. ოთარი აქ სახლების ასაშენებლად იყო ჩამრავლად გაუჩნდა მეგობარი. ერთი სიტყვით, ყველაფერს ეშველა, უსაშველო და განუკურნებელი მხოლოდ შორეულ სამშობლოზე ფიქრი დარჩა...

...სიცხიანი 5 წლის გოგი დედამ ლოგინში დატოვა და მეზობელს სთხოვა, მოსვლამდე მიმხედველი. რომ დაბრუნდა, ელდა ეცა — ბავშვი და მეზობელი ქალი ცრემლად იღვრებოდნენ.

— ვერ გავიგე, რა უნდა, რაღაცახ მთხოვს თქვენს ენაზე, ჯერ მეხვეწა, შემდეგ ატირდა, ველარაფერი გავაწყვე და მეც ავტირდი.

— ვაშლი მინდა, ვაშლი! — ახლა უფრო ხმამაღლა აღრიალდა გოგი. როდესაც დაწუნარდა, ბავშვმა მთელი სერიოზულობით განაცხადა, ფრანგული მასწავლეთ, სული, ეთერი კი — იმ დროისათვის საფრანგეთში საკმაოდ ცნობილი პიანისტი — საკონცერტო გასტროლებზე.

ქართული ოჯახის საქმეები კონგოში კარგად აეწყო. მალე ვაჟიშვილი შეეძინათ. დედ-მამა შინ ქართულად ლაპარაკობდა, პატარა გივიც დედაენაზე ალაპარაკდა.

ვაშლი მინდა...

1960 წელი. ბელგიიდან ჩასულებს კონგოში აღარ ეცხოვრებოდათ. ბელგიაში დაბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა. ცხოვრება თავიდან უნდა დაეწყოთ. არჩევანი პარიზზე შეჩერდა.

სამუშაოს ძებნაში კარგა ხანმა განვლო. თითქოს ყველა იმედი გადაწყდა. ოჯახი რომ შეენახა, მშენებლობაზე კალატოზად დაწყო მუშაობა. ვინ იცის, როდემდის გასტანდა ასე, ოთარს პარიზის ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორი — დოლაჟი არ დახმარებოდა. შემდეგ ყველაფერი შეიცვალა. ცხოვრების ნორმალურმა პირობებმა კვლავ გამოაცოცხლა ქართული ოჯახი, სადაც ახლა ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი იზრდებოდა.

გავიდა წლები. ოთარი ცნობილი არქიტექტორი გახდა. მისი მეუღლის გვარი კვლავ დაუბრუნდა საკონცერტო აფიშებს. ოჯახს ყველა ამ ენაზე ლაპარაკობსო.

კეთილი იყოს თქვენი მოგზრძანება!

ოთარი გრძნობდა, რომ ოჯახის ქართულ ტრადიციებზე შენარჩუნება შეუძლებელი ხდებოდა. ის, რაც მისთვის ახლობელი და მისაღები იყო, ბავშვების გულს ნაკლებად ეკარებოდა. მარტო სიტყვა „საქართველო“ მათთვის არაფერს ნიშნავდა. როგორ მოვიქცეთ, დავუკარგოთ ბავშვებს სამშობლო, თუ დავბრუნდეთ ქვეყანაში, რომლის უბრალო გახსენებაც კი ოთხი ათეული წელიწადია ცრემლით გვისველებს თვალებს? არჩევანი უნდა მომხდარიყო და გადაწყდა კიდეც.

მატარებელი „მოსკოვი-თბილისი“. კუპედან კუპეში, ვაგონიდან ვაგონში გადადის ამბავი: იცით, ჩვენთან ერთად საფრანგეთიდან ჩამოსული ოჯახი ჯდის, იცით, ბავშვებმა ქართული იციან, იცით, ვაგონრესტორანში შევიდა, ჩაი მოითხოვა და „წინანდალი“ დაალევინეს...

ყველა ცდილობს გაიცნოს კაცი, რომელიც სამშობლოს 40 წლის შემდეგ დაუბრუნდა. ხელს ართმევენ, ეხვევიან, ყველა ერთსა და იმავეს იმეორებს — კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, კეთილი...

ქართველი, საქართველოს შვილი

პასპორტში, 1967 წელს უცხოურის სანაცვლოდ რომ მისცეს, წერია: ოთარ ჯაველი, ეროვნება — ქართველი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის მოქალაქე.

ჯაველების ოჯახმა კიდევ ერთხელ თავიდან დაიწყო ცხოვრება. ეს არც ერთ ძველს არ შეედრება. ახლა მათი ყველას ესმის, მათაც ყველასი ესმით. ბავშვები ქართულ ენას კი არა, ქართულ ცეკვებსაც სხვებზე უკეთ დაეუფლნენ.


ქალბატონი ეთერი ახლა მუსიკის ქართველ მოყვარულთა წინაშე გამოდის სოლო კონცერტებით. პედაგოგიურ მოღვაწეობასაც ეწევა. გაკვეთილები აქვს მუსიკალურ ათწლედსა და კონსერვატორიაში. რაც შეეხება ოჯახის უფროსს, იგი რესპუბლიკის ერთ-ერთი წამყვანი არქიტექტორია, ჰაბუკური გატაცებით საქმიანობს. მისი ნიჭი და უნარი სამშობლოს კეთილდღეობას ემსახურება. ოთარის პროექტით რამდენიმე სახლი შენდება თბილისსა თუ საქართველოს სხვა ქალაქებში. დიდი მოწონება დაიმსახურა საცხოვრებელი სახლის პროექტმა, რომელშიც ყურნალისტები იცხოვრებენ.

იგი ახალგაზრდების დიდი მეგობარიც არის. ამაში ადვილად დარწმუნდებით, თუ მას ბინაზე ესტუმრებით. პავლოვის ქუჩა № 1, — ეს სახლი ახლა ბევრი დამწყები არქიტექტორისათვის არის ცნობილი. აქ, ჯაველების 4-ოთახიან ბინაში გრძელდება სახელოსნოებსა თუ აუდიტორიებში დაწყებული საუბრები. ბატონი ოთარი თბილისის უმაღლეს სასწავლებლებშიც კითხულობს ლექციებს.

ნათქვამია, ხალხისათვის გაღებული სიკეთე კაცურ კაცს ყოველთვის მცირედ ეჩვენებაო. ოთარ ჯაველსაც ასე სჭირს — ბევრს აშენებს და მაინც ცოტა ჭგონია, სამშობლოს სიყვარულში დაღლა უნდა და ვერ დაეღლილა...

არც დაეღლილიყო ჩვენო სისხლო და ხორცო!

რეზო მაჭავარიანი



სურათზე: ჯაველების ოჯახი.

სიმონ კილაძის ფოტო

ავსტრალიაში, ფესტივალზე

ქართულ ფილმს ვერცხლის პრიზი მიენიჭა

სასიხარულო ცნობა მოვიდა ავსტრალიიდან. ადელაიდაში გამართულ სატელევიზიო ფილმების მეორე საერთაშორისო ფესტივალზე ქართულ სატელევიზიო ფილმს „სერენადას“ მეორე პრემია და ვერცხლის პრიზი „სამხრეთის ჯვრის თანავარსკვლავედი“ მიენიჭა. ამ ცოტა ხნის წინათ კი ლენინგრადში სატელევიზიო ფილმების საკავშირო ფესტივალზე „სერენადა“ ორი პრიზით დაჯილდოვდა — საუკეთესო რეჟისურისათვის და საკავშირო კინემატოგრაფისტთა პრიზით.

სცენარი ფილმისათვის რეზო გაბრიაძემ დაწერა მიხეილ ზოშჩენკოს მოთხრობის მიხედვით. რეჟისორმა ქართლოს ხოტივარმა კი ისეთი სიყვარულით მოჰკიდა ხელი მასზე მუშაობას, რომ სურათი, რომელიც დიდი იუმორითა და ლირიკული სისადავით გვიპყრობს, ძალზე ემოციური და ელეგანტური გამოვიდა. მოქმედ გმირთა ხასიათები ისეთი უშუალობითა და დამაჯერებლობით არის გადმოცემული, რომ შეუძლებელია გულგრილი დარჩეთ მათ მიმართ. ფილმში წინა პლანზეა წამოწეული ადამიანის სულიერი სილამაზე, უდრეკი, დაუშორჩილებელი მიზანსწრაფვა.

რეჟისორმა ფილმში არაპროფესიონალი მსახიობები ათამაშა, მაგრამ მისი არჩევანი ბედნიერი გამოდგა: ზოზო ბაქრაძემ — ყოფილმა სპორტსმენმა, ამჟამად სახელმწიფო ბანკის ინჟინერ-ინსპექტორმა, უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის განყოფილების სტუდენტმა რამაზ გიორგობიანმა და ლალი ხაბაზაშვილმა გაამართლეს რეჟისორის მოლოდინი.

მოსკოვში ფილმს საუკეთესო შეფასება მისცეს გამოჩენილმა საბჭოთა კინემატოგრაფისტებმა რომმა, გერასიმოვმა, რაიზმანმა, ხუციევმა და სხვებმა.

გაზეთი „პრავდა“ ქართველი რეჟისორის ფილმზე წერდა: „ეს მოკლემეტრაჟიანი კომედიაა, სადაც ლირიკულობა ექსცენტრიკას ერწყმის; ტრიუკებმა, რომლებიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა ჩარლი ჩაპლინის მიერ არის მიგნებული, ქართული იუმორის წყალობით ახალი სიცოცხლე მოიპოვეს“.

ქართული ფილმი შეიძინა მსოფლიოს 40-მა სახელმწიფომ, მათ შორის საფრანგეთმა, შვეიცარიამ, იტალიამ, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

დეკემბერში ობერჰაუზენის საერთაშორისო მოკლემეტრაჟიანი ფილმების ფესტივალზე „სერენადა“ კვლავ წარდგება კინემატოგრაფისტთა მკაცრი ჟიურის წინაშე.

ნანა ჯაფარიძე



სურათზე: კადრი ფილმიდან „სერენადა“.

აზუზუნდი, ფუტკარო

ლევან გოთუა

„ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქვს
ყვავილი ფერად-ფერადი“.
ზოთა.

ძალიან ძალაა მეხსიერება, მით უფრო ახალგაზრდული, შთამბეჭდავი... ჟით უმეტეს, თუ კალამიც კეთილად გიჭირს.

...და ახლა, როდესაც წელთა სიმრავლე შეუმჩნევლად შემომეპარა, ერთი კალმის მოსმით სრული ოცი წელი მხრებიდან ძველი ნაბადივით გადავიგდე და აი — ისევ მოგზაური ვარ, თმახუჭუჭა და გატაცებული, მეოცნებე და დაუღალავი. აზუზუნდი, ფუტკარო, მშობლიურ მდელოებს გადაევლე, რაზედნი დათაფლული ყვავილებია!

ამჯერად ჩანთაში „ვეფხისტყაოსანი“ ჩავიდე და მთელი სამცხე ფეხით მოვარე, მოვისიყვარულე.

თმოგვზე, მტკვრიდან — ციხემდე, გვირაბ-გვირაბ ავედი.

ვარძიის ყოველ ქვაბში „ვეფხისტყაოსნის“ თითო ტაეპი ჩავიკითხე, ავთანდილის ლოცვასთან ქვაბსათვალავიც ამერია და ვგონებ დღეთა რიგიც!

ღამე თამარის ქვაბ-პალატების ზღურბლთან ვათიე. კლდე მთელი ღამე ფუტკრივით ზუზუნებდა, თითქოს ტარიელის ამბავს ჰყვებოდა.

ზერთვისთან ჯერ მტკვარში ვიბანავე, დედა-მდინარის ბროლის პერანგი აბიე ჩავიცვი და უშაღლეს კოშკში მეციხოვნედ ჩავდექი. რამდენი ყვავ-ყორანი ეარი გადმოფრინდა — „ვეფხისტყაოსნის“ ტაეპი ვტყორცნე ისრად!

ახპინძის ნაბრძოლევ ადგილებს დავუარე. ფუტკრის ზუზუნითა და ყაყაჩოს სიმრავლით ვიცანი. იმდენი ვიტრიალე, რომ მხარი მეცვალა... მაინც, მზე ჩაიმალა და მრავალი ჩრდილი წამომეტოტა.

ამზუნშიც არ ჩავაგდე. აქ ყველგან საქართველო იყო და მისი რუკა გულზე ქონდა, სადაც დამიღამდა — იქვე მივწექი... ახლოვე ტოროლას ბუდე დამხვდა. ალი ღამე ბარტყების ჟღურტული მესმოდა.

ეურის ნატეხი მქონდა, „ვეფხისტყაოსანიც“ გადავშალე და ვიდრე ასოებს ვარჩევდი, ლექსთა და პურით იოლად გავეღ... მერმე მაღლა ქვაზე ასევე გაშლილად შემოვდე და დავიძინე.

დილას „ვეფხისტყაოსანზე“ ტოროლა იჯდა, ნამცეცებს კენკავდა. თვალი რომ ვახილე, ზოთას სტრიქონივით აგალობდა და პირდაპირ მწვზე გაფრინდა, ახლა ეურებში აზუზუნდნენ წიგნის ირგვლივ... და თითქოს ასპინძის მიწაც ჩუმგუნად ამღევდა.

ზოთაც გულმა გამიწია, იქით წავედი.

ბაღებში ჩაფლულ სოფელს მივადექი.

ფეხშიშველა ქალიშვილები ხეზე მოლაღურებივით ისხდნენ და ჯერ ნამშეუმშრალ თუთას არხვდნენ.

პირდაპირ გომით დამიდგეს, აბა გენახათ ცეროდენა და უტკბილესი... დავეხარბე, ყური არ ვათხოვე გოგონების ვერდაფარულ სიცილს.



ცნობილი ქართველი მწერალი ლევან გოთუა...

კაცური კაცი, მხატვრული სიტყვის დიდი ოსტატი, ჭეშმარიტი მამულიშვილი, ერის ისტორიის მცოდნე და მოტრფიალე, ყოველივე ახლის ქომაგი და დამფასებელი — ასეთია ისტორიული რომანების „გმირთა ვარამისა“ და „კრწანისის სევდის“, მრავალი პიესისა და მოთხრობის ავტორი.

ქართველი მკითხველი მალე მიიღებს ახალი რომანის — „მითრიდატეს“ პირველ ნაწილს.

მწერალი ამჟამად ამ რომანის მეორე ნაწილზე მუშაობს.

მკითხველს ვთავაზობთ ლევან გოთუას ერთ-ერთ ნოველას — „აზუზუნდი, ფუტკარო“.

თანამედროვე ქართული ნოველა

მე-2 გვერდი

— რა დღეა? რა სოფელია? ძველი თუ ახალი მოსახლენი ხართ? საქართველოს რომელი კუთხიდან მოხვედით ამ დათაფლულ თუთიანში?

ჭალიშვილებს უფრო შესკდათ სიცილი...

— ასე დადიხარ სოფელ-სოფელ? დაეძებ ვისმე? თუ მოსაკრეფი გაქვს რამე? უკვე დაუფარავად, ერთობლივ აკასკასდნენ და ახალი, თუთით სავსე გობი ეაჩვენეს.

ასე დავდივარ... ძველსა და ახალ საქართველოს ვკრეფავ, თუთის მოლაღუებო! თქვენ კი რა გაცინებთ?

— ისა რომა... ჩვენი თუთა ათრობს... ძველსა და ახალს ვეღარ არჩევინებს!

ალა დიდი ღარტაფის გაღმა მთაზე მიმითითეს: — დღეს აქ კვირაა, ალბათ ეყიც იქნება! მთას გადაივლი, ჰოდა, იქ რომ თუთაა, გუმბათივით, სოფლის განაპირას მდგარი... იმ თუთის ძირში კაცი დაგხვდება... ამბავი იმას ჰკითხე, ის ეველაფერში გაგარკვევს, თუ მიმხვდური ხარ!

— რა სოფელია, რა კაცია? ხომ არ მაზღაპრებთ?

— არა, თუთის მადლმა! ჩვენს სოფელს იდუმალა ჰქვია, იმ სოფლისას კი ეად ფუტკარა გეტყვის! ჩვენ კი სიცილი გვიშლის ლაპარაკსა!

...და ყველანი თუთის ლანდებივით გაჰქრნენ... სანიშნოდ თუთიანში კიდევ ხანს კრთოდა მათი კასკასი.

ბევრი ვიარე თუ ცოტა ვიარე, იმ სოფლამდეც მივაღწიე. პირდაპირ დიდ-ებათა თუთას მივადექი. ყორეს იქით მწვანე ჩრდილი იდგა. მზე შიგადაშიგ ანც კურდღლობდა. ჰაერი თუთის სურნელითა და ფუტკრის ზუზუნით იყო ეჯერებული.

თუთის გამოკოჟრილ ძირზე წვერკეთილი მხცოვანი იჯდა და რაღაცას ხვეწით ეღიდა. თან თითქოს შემოსეულ ფუტკრებს ესაუბრებოდა.

ეს თუ იყო ფუტკარა?

...ყორეზე გადავხტი და გამარჯობა ვუთხარი.

არა მითხრა რა. თავზე წავადექი, მაგრამ ვიდრე ჩემი ჩრდილი არ დაეცა — არც მოუხედავს. მერმე თავი ასწია, დაღარული სახე დამანახა და ფუტკრის ზუზუნა ხმით მითხრა:

— შვილო, თუ რამე მითხარი... პასუხს ნუ ელი ჩემგან — ორთავ ყურით დამდგარი ვარ! ზუზუნის მეტი არაფერი მესმის!

მეც ფუტკრები შემომეხვივნენ და ზუზუნით ყური წაიღეს. მოხუცმა შეამჩნია.

— მგზავრი რამე ჩანხარ... დინჯად მოიქეცი, ფუტკრები არ გამიჯავრო! ეურც გეშინია — თუთობას ფუტკარიც დამტკბარია, ჰაი-ჰარად არ იკბინება... ეუ მოუსმინე და გულისყურიც აუწყვე — „ვეფხისტყაოსანსაც“ გიზუზუნებენ...

სახეზე, შიშველ მკლავებზე, ყურის ბიბილოებზე ფუტკრები მაცოცავდნენ, მაგრამ მეც თუთის ხესავით უთრავად დავდექ... და მართლაც, მალე დავრწმუნდი — ფუტკრის ზუზუნი ყველაზე უფრო ჰგავს შორიდან მოსმენილ ხალხის ლაპარაკს!

— კი მაგრამ, რატომ მაინცადამაინც „ვეფხისტყაოსანს“? — ყბაშეურხევლად ვკითხე. მერმე მომაგონდა, რომ პასუხს ტყუილად ველი, თუმცა აქაც მოტყუვდი.

— თუთა მიირთვი, რუსთავის თუთაა — საბაჭმაზო!

ფუტკრები დამავიწყდა და შევტორტმანდი. მაშ რუსთავში ვარ. გზააბნეულად და ულოდნელად აღმოჩენილი! თაფლად და ბაქმაზად მომედო ეს „დაბნევა“ და ამიტაცა.

ფუტკარა კი განაგრძობდა თავის კილოზუზუნა, პასუხისმიუღებ ბაასს...

— ჩადი წყაროსთან, მთელი სოფელი იქაა, ძველი და ახალი მოსახლეობა! ნათუთარია ხალხი — ლხინია! შენც გაიხარე, მგზავრო კეთილო... შენი სიტყვაც უთხარი! ესეც დაგჭირდება გზაშიაც და ცხოვრებაშიაც! — ახალგათლილი კოზი მომაწოდა და გზა მიმიჩვენა.

ახლაღა შევამჩნიე, რომ ფუტკარა ხის კოზებს თლიდა.

გაკვირვებით გამოვართვი. მადლობაც ხმამაღლა გადავუხადე. ალბათ მიხვდა:

— ერთსაც გეტყვი — კაცმა ისეთი მგზავრული ახალგაზრდობა უნდა გაატარო, რომ მერმე მთელი სიცოცხლის მანძილზე გეყოს სიბერის საგზლად!

ცაში კვირიონები ნავარდობდნენ... ხიდან ცვივოდა მწიფე თუთა... მოხუცი კი თავისას, და იქნებ თავისთვის, უბნობდა:

— ახლა მე აქ თუთის ძირში ვზივარ, სოფლისათვის კოზებსა ვთლი და სულ კი ვმოგზაურობ... ახალგაზრდობის დროინდელ ხილვებში ვარ!

ისევ თავი ჩაღუნა და თლა განაგრძო... ჯერ გამოუსვეწი კოვზებიც ბლომად ჰქონდა.

ამ კოვზით ბერიკაცმა ისეთი ჩანგალი მომდო — აბა რაღას მოვეშვებოდი.

— ეს კოვზი რაღაა? — ახლა სულ ახლოს ვიყვდი, ფუტკრების შემოსევის გამო დინჯად დავიხარე და თუთის ფესვებს ნარუჟარი კოვზი მივუკაკუნე.

ისევ ჩემმა ჩრდილმა მისაშველა. ფუტკარა კვლავ შემობრუნდა...

— არ წასულხარ? კეთილი, ერთ-ორს კოვზისასაც გეტყვი — უბეში ჩაიდე! მეტს კი არ მოგცემ... კაცი არც ორკოვზიანი ვარგა, არც ორპირი, არც ორ სკამზე ბჯდომა! ქვეყნად შენი წილი მუდამ ვიოპოვება, მაგრამ სადაც მადლი არ დაგითესია, შენს კოვზს ნუ გამოაჩენ... სადაც დასთეს, კოვზი თავად გულის კოვზზე მიგიკაკუნებს.

მუხლისთავებიდან წვრილხვეწილა ბურბუშელა ხელდინჯად გადაიშორა, წვერში ჩახლართული ფუტკარი გაათავისუფლა, ხელის გულზე თითქოს მოწმედ დაისვა და სულ ჩუმად მითხრა...

— კოვზი — სიტყვაზე — ანდაზაა: რაც არ გერგება — არც შეგერგება! თავად კი ყველგან უნდა თითო კოვზი სიკეთე სთესო... მაშინაც კი, როდესაც თუთა დასეტყვილია... ან ჯერ არ არის მწიფე!

თვალები ჩაუკრა, გადათოვლილი თავი ჩაჰხარა, ისევ კოვზის თლასა და ახალგაზრდობის დღეთა ხილვას მიუბრუნდა.

კოვზი უბეში ჩავიდე და ისე წავედი, ფუტკარასათვის ზურგი არ მიმიქცევია. დაჩრდილულ ყორეებს შორის ჯერ ფუტკრის ზუზუნი და მოლაღურების სტვენა მიმყვებოდა. მერმე წინიდან შემომესმა ხმა... ისიც ზუზუნს ჰგავდა.

წყაროსთან მართლაც მთელი რუსთავი მომდგარიყო... დიდ-პატარა.

წყაროსთავზე აკვანი იდგა, შიგ ძუძუთა ბავშვი იყო ჩაკრული. ირგვლივ კი ერთობლივი ყაყანი, ხან მძაფრი სიტყვა, ხან სიცილ-გნიასი იდგა.

— რა ამბავია, ხალხნო?! — შევძახე და წყაროს წავადექი.

უეცრად ყველა დაჩუმდა. მკაფიოდ გაისმა წყაროს ჩხრიალი, მერმე ბავშვიც ატირდა აკვანში. ზედაც ერთი ხმარიხიანი დედაკაცი წამოფაშფაშდა...

— სიკეთისა გვჭირს! შენ გიშველა ღმერთმა! შენი ფეხი ბედნიერი!—და ისევ ხალხს მიუბრუნდა: — ეს გაგვაშველებს ნამდვილად... თორემ სოფლის ყაყანში ბავშვიც დაგვესიცხა და ფლავიც დაგვეწვა!

— ჯერ გამარკვიეთ! — ვთქვი და ისევ ახმიანდა სოფელი...

— სახელი!

ჩემი სახელი აქ აშკარად არაფერ შუაში იყო...ერთი წიგნიანი გოგონა შევამჩნიე, მოწაფე უნდა ყოფილიყო... ხელი დავუქნიე...

— აბა, თქვენი მოსწავლეც ვნახოთ... მოკლედ ამიხსენი მიზეზი თქვენი ჟრიამულისა!

სხარტად ამიხსნა:

—სახელს ვურჩევთ აკვნის მოქალაქეს! მამის მხრივ სულ ახალმოსახლენი, ონელები არიან, დედის მხრივ კი ძველმოსახლენი... ჰოდა, დავა შეიქმნა მოყვრებს შორის... ახლა მთელი სოფელი წამოდგა ნათლიად!

— დამისახელეთ მამის მხრივ... — გამოცდილ ბჭესავით მოვითხოვე.

— ქვე დავარქმევ ამბროლას!

— ახლა დედის ნათესავები?

— ვეფხვიაი... ან ლომსაი!

— სოფელი რაღას ირჩევს?

ისევ აზუზუნდა სოფელი, რჩეულსახელები აახმიანეს — ხან რაჭულად და ხან მესხურად მოქცეული...

— აბდიაი... ზურიკუნა... ამირან, ჯუმბერ... გოჩაი, ქუჯი, ლომკაცუნა... ბოცოი... — დარხეულ თუთასავით ცვივოდა სახელთსიმრავლე.

— კარგად შეგირჩევიათ, რუსთაველნო! არც ერთი არ გააცდინოთ! მაგრამ ახლა მე სულ სხვას გირჩევთ — ეს წყარო შოთა რუსთაველს უსვამს! დაე აქ განათლულიც შოთა იყოს! ისიც შოთა და ისიც რუსთავიდან!

— იიიყოს! — ერთხმად სჭექა სოფელმა.

— საჩუქარიც მომირთმევია! — ხელი ჩანთაზე გავიკარ და „ვეფხისტყაოსანი“ ბავშვს აკვანში ხატივით ჩავუდე.

— აკი გითხარით, დაგვარიგებს-მეთქი! შოთა, მაშა! აბა ვინ არის წინააღმდეგი? წყაროსთან წამოდექით! — რიხი მოიცა ფაშფაშა დედაკაცმა.

— არავინ! არავინ! შოთა! შოთა! — გუგუნებდა სოფელი.



მე-4 გვერდი

...მაგრამ ახლა ქალებსა და მამაკაცებს შორის შეიქმნა დავა და აკვნის გაწევა-გამოწევა. პირველად ბიჭის მამა წამოვარდა...

— ეს თუ შოთას წყაროა, ჩემი შოთა-ბიჭუნაც შიგ უნდა ვაბანავო! ვაჭყუმპავო! მაგის ჭირიმე!

ხალხმა ხარხარი შექმნა. დედა-ქალები კი აკივლდნენ... აკვანს გადაეფარნენ.

ისევ მე ჩავერიე, ჩემი გაფუჭებული საქმე გამოვასწორე.

— რუსთაველნო! რა ყველაფერზე დავობთ? თქვენი თუთა მართლა ხომ არ ათრობს?!

ისევ ყველა გაჩუმდა. პასუხი არავინ გამცა. ისევ წყარო ჩხრიალებდა... ფუტკრის ზუზუნიც ისმოდა. მერმე ზუზუნა ხმაც მკაფიოდ გაისმა...

— ერთიანი წესი ვერ დალაგდა და ვერა! სოფელს კი წესი უნდა ჭირშიაცა და ლხინშიაც!

შემოვბრუნდი. ჩემს უკან ფუტკარა იდგა და თითქოს ახლაც ფუტკარი გარს ეხვეოდა. დიახ, მკაფიოდ ვიგრძენი — ნაჩუქარი კოზი გულის კოვზზე მიკაკუნებდა.

— ისევ მე გაგაშველებთ! — უნებურად წამოვიძახე, წყაროსთან მივედი, უბიდან კოზი ამოვიღე, წყაროში ამოვბანე, ერთი კოზი წყალიც აკვანში ბავშვს ვასვი და კისერზედაც გადავადინე.

— აგაშენოს ღმერთმა! აი კოზიანი ნათლიაც ეგ ყოფილა! — წამოიძახა ბიჭუნას მამამ და ჭალებს დასჭყივლა. — აბა. ახალ ვენახის ღვინო, თუთის არაყი... ფლავიცა და ლობიანებიც! აქაც და სახლშიაც! შინ მოდის შოთა!

წყაროს ლხინმა მალე ოჯახში გადაინაცვლა. მე, საპატიო სტუმარი ვიყავი. ფუტკარა კი რუსთავის უხუცესი და ძუძუთა შოთას პეპერა გამოდგა დედის მხრიდან.

იმ დღეს, მისეული კოზით, ფლავიც ბლომად ვჭამე, თაფლიცა და თუთის ბაქმაზიც. სამცხის ცოლიკაურიცა და რჭაწითელიც დავაყოლე ძველებური ჭინჭილით.

„ვეფხისტყაოსანიც“ ბევრი მაკითხეს. ხმას მაყოლებდნენ და ერთობლივ ფუტკრის ზუზუნივით გამოდიოდა. თუთის აკვანში ძუძუთა შოთას ტკბილად ეძინა.

მზე ჯერ ჩასული არ იყო, რომ ოჯახი დავლოცე და გზას გავუდექი. სოფლიდან ლხინის ხმაც ფუტკრის ზუზუნად გამყვა.

დიდი თუთის ძირში პეპერა იჯდა და სიკეთის კოზებს სთლიდა, შოთას წყაროს ავაზანში ბავშვები ჭყუმპალაობდნენ.

მეც დავეწაფე შოთას წყაროს, მარაგიანად შევსვი და გზას გავუდექი. გულის კოზთან საჩუქარი სიკეთის უთლეველობის რწმენად მიმაკუნტბდა. გზას არ ვარჩევდი — აქ ყველგან საქართველო იყო და ჩემი რუკა გულზე მეხატა.

...აზუზუნდი, ფუტკარო, მშობლიურ მდელოებს გადაევლე, რამდენი დათაფლული ყვავილია!

„დიდი მუსიკალური კულტურის რესპუბლიკა“

მეგობრობა პრაღისა და თბილისის კონსერვატორიებს შორის 1967 წელს დაიწყო, როცა თბილისის კონსერვატორია თავისი არსებობის 50 წლისთავს აღნიშნავდა. სხვა სტუმართა შორის იყო პრაღის კონსერვატორიის პრორექტორი ვაცლავ გუბაჩეკი, რომელმაც წამოაყენა წინადადება, ამ ორ მუსიკალურ სასწავლებელს საქმიანი ურთიერთობა დაემყარებინა და დელეგაციები გაეცვალა. წინადადება სიხარულით მიიღეს და აი რამდენიმე დღის წინათ ჩეხოსლოვაკელ მეგობრებს თბილისის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები მასპინძლობდნენ.

წასვლისას პრაღის კონსერვატორიის რექტორმა, დოქტორმა ვაცლავ გოლცკენხტმა განაცხადა:

— ქართულ მუსიკაზე ბევრი გვსმენია, ვიცნობდით ქართველ კომპოზიტორთა ზოგიერთ ნაწარმოებს, შემსრულებლებსაც, რომლებიც ჩვენთან კონცერტებით ჩამოდიან, მაგრამ, ბუნებრივია, ქართველი ხალხის მუსიკალური კულტურის ღრმა და საფუძვლიანი ცოდნა არ გვქონდა. ეს იმითაც იყო გამოწვეული, რომ არ გაგვაჩნდა საჭირო სანოტო ლიტერატურა.

ერთი კვირა, რომელიც საქართველოში გავატარეთ, ქართული კულტურისა და მუსიკის კვირეული იყო ჩვენთვის. გავიგეთ, რა ღრმა და მრავალმხრივია ქართული ხალხური მუსიკა, რა მუსიკალურია აქ ყველა — დიდიც და პატარაც.

ჩვენს მეხსიერებაში დიდხანს დარჩება საუცხოო ხალხური სიმღერები, რომლებიც ასე შთამაგონებლად შეასრულა ანსამბლმა „რუსთავმა“ ჯვრისა და სავეტიცხოვლის თაღებში. ეს იყო გასაოცარი კონცერტები, როდესაც ერთმანეთს შეერწყა მუსიკალური ფოლკლორი და უძველესი არქიტექტურის შედევრები, როცა შეიქმნა განუმეორებელი ჰარმონია, რომელმაც ჰაღარა წარსულში გადაგვიყვანა.

თბილისის კონსერვატორია ახალგაზრდა ტალანტების ნამდვილი სამჭედლოა. ამაში დავრწმუნდით, როცა გავეცანით სწავლების მეთოდებს, დავესწარით მეცადინეობებსა და კონცერტებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო კონცერტი, რომელიც ჩვენთვის გამართეს სტუდენტებმა და ასპირანტებმა კონსერვატორიის მცირე დარბაზში. მოვუსმინეთ უაღრესად ნიჭიერი ტალანტების თანავარსკვლავედს: ლექსო თორაძეს, მზია ჭობალიას, ბრწყინვალე ზურაბ სოტკილავას, მევიოლინეთა ანსამბლს. ძნელია ყველას ჩამოთვლა.

განსაკუთრებით სასიამოვნო იყო შეხვედრა მარინე ხვიტიასთან, რომელიც ჯერ კიდევ ჩეხოსლოვაკიაში გავიცანით, სადაც იგი დიდი წარმატებით მონაწილეობდა სმეტანას სახელობის კონკურსში. ყველამ, ვისაც თბილისში მოვუსმინეთ, განგვაცვიფრა თავისი მონაცემებით. განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე ქართველ ვოკალისტთა უზარმაზარმა შესაძლებლობამ. საქართველო, ჩვენი აზრით, მომღერალთა ქვეყანაა. მოუთმენლად მოველით ქართველი კოლეგების საპასუხო ვიზიტს. დარწმუნებული ვართ, თქვენი ხელოვნება ძალზე მოეწონებათ პრაღის მუსიკის მოყვარულთ.

ქართველი სტუდენტები ჩეხოსლოვაკიაში გაისად, მაისში გაემგზავრებიან.

სიჭაბუკის 20 წელი

საქართველოს პედაგოგიური კადრების ერთ-ერთ სამჭედლოს, თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს არსებობის 20 წელი შეუსრულდა. ამ ხნის მანძილზე ინსტიტუტმა უცხოური ენის 4.179 სპეციალისტი გამოუშვა, რომლებიც წარმატებით მუშაობენ პედაგოგებად სკოლებსა და ინსტიტუტებში, კულტურის დაწესებულებებსა და გამომცემლობებში.

ინსტიტუტში 4 ფაკულტეტი და 14 კათედრაა. აქ ათი უცხოური ენა ისწავლება. აქედან სამი — ინგლისური, ფრანგული, გერმანული — ძირითადია და მომავალი პედაგოგის სპეციალობას განსაზღვრავს. დანარჩენი 7 ენა კი — ესპანური, იტალიური, პოლონური, ბულგარული, რუმინული, უნგრული, ჩეხური — მეორე სპეციალობად ისწავლება. 1965 წლიდან სტუდენტები მეორე სპეციალობად გიდ-თარჯიმნის ხელოვნებასაც ეუფლებიან.

ახალგაზრდების აღზრდას ცნობილი მეცნიერები და პედაგოგები ხელმძღვანელობენ. ენის სწავლებაში ფართოდ იყენებენ ტექნიკურ საშუალებებს. უცხოური ენების სრულყოფილად დაუფლებაში ლაბორანტ-სტუდენტებსა და მასწავლებლებს დიდად ეხმარება უცხოეთში მივლინება კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

ცხოვრობდა, ქმნიდა აზროვნებდა...


ელენე ახვლედიანი,
საქართველოს სახალხო მხატვარი.


დავით კაკაბაძის დაბადების 80 წლისთავის გამო




დავით კაკაბაძე ხელოვნებაში გამორჩეულ ერთეულთა ჯგუფს განეკუთვნება. ხელოვნება მისთვის „წმიდათა წმიდა“ იყო. იგი პირდაპირ შეპყრობილი იყო შემოქმედებით. ქმნიდა, აზროვნებდა უწყვეტლივ, დაუსრულებლად. ხელოვნების საკითხებზე მუდმივი ფიქრისა და ძიების შედეგია ფრიად საინტერესო მისი წიგნები: „ხელოვნება და სივრცე“, „ქართული ჭედურობა“, „კონსტრუქტიული ხასიათის სურათები“ და სხვა. ყველა ნაშრომს ღრმა ფიქრისა და ფაქიზი გემოვნების დაღი აზის, თვით სურათის ჩარჩოსაც კი, — ისიც არ იყო მისთვის უმნიშვნელო, შემთხვევითი.

შემოქმედებითი ძიების შედეგია ნაწარმოებთა ციკლები: „იმერეთი“, „სვანეთი“, „ბრეტანი“, „თბილისი“, „ცაგერი“. აბსტრაქტულ-დეკორატიულ ნაწარმოებთა სერია შესანიშნავია კომპოზიციებით, კოლორიტით, სარკეებით, ლითონით, ხით; ზოგიერთს ეს სერია დავითის შეცდომად მიაჩნია — ასე არ უნდა დაეხატაო. ამგვარი აზრი, რა თქმა უნდა, სწორი არ არის. რას ნიშნავს — არ უნდა დაეხატა ასეო? მხატვრის მთელი სიცოცხლე, კუბოს ფიცრამდე, ხომ ძიებაა! ცხოვრება იცვლება, წინ მიდის, იცვლება მხატვრის თვალსაზრისი, მისი გრძნობები, გარემოსთან დამოკიდებულება, განსხვავებული მიმართულებანი და ხერხები იჩენენ თავს. ეს ასეა ყველა იმ მხატვრის ცხოვრებაში, რომელიც ერთხელ მიღწეულზე არ გაყინულა. და აი დათიკოს კიდევ ერთი მიღწევა — უკანასკნელი რეალისტური სურათები „ელევატორი“ და „ფოთი“.







სურათებზე: ავტოპორტრეტი, „სვანეთი“, „ბრეტანი“, „ძველი თბილისი“.

ბევრს ახსოვს მისი მუშაობა თეატრში. მან გააფორმა „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ“, „ნინოშვილის გურია“, „სადგურის უფროსი“, ოპერა „პიკის ქალი“ და ბევრი სხვა. დიდი ძიების შედეგად მიღწეულია სპექტაკლების ფრიად საინტერესო გაფორმება, შესანიშნავი მიგნებანი დეკორატიულ ხელოვნებაში.

დავითი დიდი პედაგოგი იყო, გასაოცარი სიუხვითა და სიხარულით უზიარებდა მოწაფეებს ცოდნასა და გამოცდილებას, ყველა თავის მისწრაფებას.

რაც უნდა ეკეთებინა, ქალაქის შენობების გაფორმებაც კი დღესასწაულისათვის, დავითი მუდამ დავითი იყო და არასოდეს ღალატობდა თავის „მეს“.

მას ფეხით ჰქონდა შემოვლილი მთელი საქართველო. ამ მოგზაურობის შედეგია ხალხური შემოქმედების ის მდიდარი კოლექცია, რომელიც დღესაც ამშვენებს მის სახელოსნოს და მუდმივად მატულობს დავითის ოჯახის წევრთა განსაკუთრებული ყურადღებისა და სიყვარულის წყალობით.

ჩვენი ინტერვიუ

უძველესი ტრადიციის ხელოვნება

თარგმნის საქმეს საქართველოში ადრე ჩაეყარა საფუძველი. ჩვენმა წინაპრებმა ჯერ კიდევ მეხუთე საუკუნეში თარგმნეს ბიბლია. მეთორმეტე საუკუნეში შეიქმნა „ვისრამიანის“ ბრწყინვალე ქართული ვერსია. მეცხრამეტე საუკუნეში ივანე მაჩაბლის მიერ თარგმნილი შექსპირის ტრაგედიები მთელ მსოფლიოშია აღიარებული, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო. იმ ხნიდან მოყოლებული, საქართველოში მთარგმნელობითი საქმე ვითარდებოდა და ყოველთვის საიმედო ადამიანთა ხელში იყო.

უცხოური ლიტერატურის ქართულ ენაზე თარგმნა განსაკუთრებით ახალი ალმანახის „ხომლის“ გამოსვლამ გამოაცოცხლა. ამასთან დაკავშირებით ჩვენმა კორესპონდენტმა ჯემალ ქურხულმა რამდენიმე კითხვით მიმართა მის რედაქტორს, მწერალ ვახტანგ ჭელიძეს.

◆ რას გვეტყვით თარგმნის ტრადიციაზე საქართველოში? როგორ ვითარდება იგი დღეს?

— ამ მხრივ ბევრი გვაქვს საამაყო, რომ არაფერი ვთქვათ ძველი დროის ბრწყინვალე ქართულ თარგმანებზე, მარტო მეცხრამეტე საუკუნეში რამდენი რამ გაკეთდა. ცნობილია, რომ დიმიტრი ყიფიანმა გასული საუკუნის პირველ ნახევარში თარგმნა შექსპირი, ლაიზერვიცი გადმოაქართულა ნიკოლოზ ბარათაშვილმაც. იმავე ხანებში უცდიათ მილტონის „დაკარგული სამოთხის“ რამდენიმე თავის გადმოღებაც... მაგრამ დიდი მასშტაბის მთარგმნელობითი მუშაობა უფრო მოგვიანებით, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, როცა მაჩაბელთან ერთად სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ გრიგოლ ყიფშიძე, ნიკოლოზ ავალიშვილი, ივანე მაჭავარიანი, თედო სახოკია.

ახალი დროის მწერალთაგან, რომელთაც განსაკუთრებული ღვაწლი დასდეს მთარგმნელობით საქმეს, უნდა დავასახელოთ გერონტი ქიქოძე, ილია აღლაძე, კონსტანტინე ჭიჭინაძე, მომდევნო თაობის წარმომადგენლებისაგან კი ნიკა აგიაშვილი, გრიგოლ აბაშიძე, კოლაუ ნადირაძე. დავით და გივი გაჩეჩილაძეები, ვახტანგ ბეწუკელი, მურმან ლებანიძე, ალექსანდრე გამყრელიძე, ელგუჯა მაღრაძე, რუსუდან დოდაშვილი, მოსე ჭარხავა, ნუნუ ჭადეიშვილი, ნინო ჭუჩუკაშვილი, ციალა ჩხეიძე, რუსუდან ქებულაძე, ოთარ ჭილაძე, თამარ ერისთავი, თამაზ ჩხენკელი, ბაჩანა ბრეგვაძე.

◆ რომელი საყურადღებო ნაწარმოებები ითარგმნა ამ ბოლო ხანს?

—შეგვიძლია დავასახელოთ ჯეკ ლონდონის ხუთტომეული, ჰემინგუეის ოთხტომეული, მანის, გოლზუორთის ცალკეული ნაწარმოებები, აგრეთვე ეგვიპტური და ფრანგული ლირიკის კრებულები.

◆ რომელი თარგმანები მიგაჩნიათ ყველაზე სრულყოფილად და ორიგინალის ღირსეულ „მეტოქედ“?

— პირველ რიგში ივანე მაჩაბლის თარგმანებს დავასახელებ — „ჰამლეტს“, „ოტელოს“, „მაკბეტს“, „იულიუს კეისარს“, „ანტონიო და კლეოპატრას“, „რიჩარდ მესამეს“... მათში შეიძლება მოიძებნოს ცალკეული უზუსტობანი, ზოგი ფრაზა იქნებ ვერ იყოს მარჯვედ თარგმნილი, მაგრამ შესანიშნავად არის გადმოცემული ორიგინალის საერთო განწყობილება და ის დიდი მღელვარება, რაც შექსპირის ტრაგედიებისათვის არის დამახასიათებელი. მრავალ ენაზეა შექსპირი თარგმნილი, მაგრამ, არ შეიძლება თუ ვიტყვი, რომ შექსპირი მაჩაბლისეული თარგმანები ყველაზე მაღლა დგას.

◆ რის გამოქვეყნებას აპირებთ „ხომლის“ უახლოეს ნომრებში?

— მორიგ ნომერში დავამთავრებთ ჰემინგუეის ცნობილ რომანს „ვის უზმობს ზარი“. ამავე ნომერში მკითხველი იხილავს რიღკენ ბრედბერის, ჯოვანი პირელის, ისიკავა დაკუბოკუს, სარტრის, სილიტოუს, მარსელ ემეს და სხვათა ნაწარმოებებს.

◆ ქართველი მკითხველი თქვენ გიცნობთ, როგორც შექსპირის, მილტონის, დიკენსის, სკოტის, ჰემინგუეის, სელინჯერის, სტეინბეკისა და სხვათა მთარგმნელს, რაზე მუშაობთ ამჟამად?


— ვთარგმნი სკოტის ერთ-ერთ რომანს.

◆ როგორც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორმა, გთხოვთ ასეთ შეკითხვაზეც გვიპასუხოთ: უცხოელ მწერალთა რომელ ნაწარმოებს სთავაზობენ მკითხველს ჩვენი გამომცემლობები უახლოეს მომავალში?

— „ნაკადულმა“ გამოსცა ჯეკ ლონდონის თხზულებათა ხუთტომეული, ხოლო გამოსაცემად ამზადებს მაინ რიდისა და კუპერის ტომეულებს. „მერანი“ უშვებს სერვანტესისა და ფლობერის ტომებს. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოში“ მზადდება უახლოეს ხუთ წელიწადში გამოსაცემი მთარგმნელობითი ლიტერატურის დიდი გეგმა. ამ გეგმის მიხედვით უნდა გამოიცეს მსოფლიო ლიტერატურის საუკეთესო ქმნილებათა ბიბლიოთეკა. მათ შორის ჰომეროსის „ილიადა“ და „ოდისეა“ და ანტიკური ლიტერატურის სხვა ნიმუშები. 1970 წელს გამოვა მერიმეს ორტომეული, ბოკაჩიოს „დეკამერონი“, როლანის, ჰიუგოსა და სხვათა ნაწარმოებები.

სპორტი

ნანა ალექსანდრია — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი



ნანა ალექსანდრია ვალერიან გენგიურის ფოტო

გულრელ მოჭიდავეთა წარმატება

ვაშინგტონში გაიმართა სსრ კავშირის პირად-გუნდური ასპარეზობა უმაღლესი სასწავლებლების სამბისტთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ სტუდენტთა ნაკრები გუნდები. საქართველოს ნაკრები ძირითადად დაკომპლექტებული იყო გორელი ფალავანებით. მათგან ექვსმა — იმერლიშვილმა, მორჩაშვილმა, ქაიხოსროშვილმა, ჩოჩოშვილმა, ქიბროწაშვილმა და მაისურაძემ სტუდენტთა შორის სსრ კავშირის ჩემპიონობა დაისაკუთრეს.

ქართველმა მოჭიდავეებმა გუნდური პირველი ადგილიც მოიპოვეს.

ვულოცავ ნანას

ნანა ალექსანდრია ჯერ კიდევ საკავშირო ჩემპიონატის დაწყებამდე ითვლებოდა ოქროს მედლის ძირითად პრეტენდენტად. რა საბუთით? ნანამ ადრე ორჯერ დაიკავა პირველი ადგილი საკავშირო ჩემპიონატებში, გაიმარჯვა ბელგრადისა და თბილისის დიდ საერთაშორისო ტურნირებში. სულ ახლახან ერთად ვთამაშობდით ლუბლინში, ქალთა საერთაშორისო ოლიმპიადაზე. თუმცა ნანა ასეთ შეჯიბრებაში პირველად გამოდიოდა, მაინც ისახელა თავი — 9 შესაძლებლიდან 8 ქულა მოაგროვა.

რა თქმა უნდა, ჩემთვის მეტად სასიამოვნოა ნანას ახლანდელი წარმატება. ჩვენ ერთი მასწავლებელი გვყავდა — სახელოვანი პედაგოგი ვახტანგ ქარსელაძე. იგი ყოველთვის დიდ იმედს ამყარებდა ამ ნიჭიერ და მუყაით გოგონაზე. იმ დროიდან მოყოლებული, ჩვენ ერთმანეთის გულშემატკივრები გავხდით: განვიცდით ერთმანეთის ყოველ პარტიას, პირად შეხვედრებს კი.... ყაიმით ვამთავრებთ.

მე ვესწრებოდი გორის ასპარეზობის ზოგიერთ ტურს. ძალიან აგვაღელვა ნანას შეხვედრამ ბაქოელ ოსტატ ტატიანა ზატულოვსკაიასთან. ზატულოვსკაია ძლიერი და საშიში მეტოქეა. მას დიდი გამოცდილება, მახვილი ტაქტიკური „თვალი“ აქვს. ნანა შავებით თამაშობდა და საკმაოდ მოულოდნელად ფრანგული დაცვა აირჩია. ეს, ეტყობა, უსიამოვნო სიურპრიზი იყო ზატულოვსკაიასათვის. ნანა დიდხანს საუცხოოდ პაექრობდა და სავსებით მოსაგები პოზიცია მიიღო. ბაქოელი ოსტატი უმძაფრეს ციტნოტში აღმოჩნდა. მართლაც მეტად ძნელია ერთ წუთში 7 სვლა გაკეთო და ისიც უმძიმეს მდგომარეობაში! ნანას კი ნახევარი საათი დარჩა. თითქოს ლიდერს მორიგი ქულა უნდა ჩაეწერა, მაგრამ სწორედ აქ მოხდა სასწაული. ნანამ ელვის სისწრაფით დაიწყო თამაში და მძიმე შეცდომა მოუვიდა. როგორი ამბავია, ადვილი მოგების ნაცვლად ფიგურა დაკარგო! ეს იყო მეტად გულსატკენი დამარცხება. როდესაც პარტია დამთავრდა, გაოგნებული ლიდერი დაფას ვერ შორდებოდა. ვერ მოვითმინე და ვუთხარი: „რა გაჩქარებდა! ასეთ მდგომარეობაში ალლვება უნდა დახძლიო. მეტოქე რომ სვლას გააკეთებს, რა საჭიროა მეისვე პასუხი გასცე... ჯერ სვლა ჩაიწერე, რამდენსამე წუთს დაფიქრდი. მოგება სად გაგექცევა“.

ყველაზე სასიამოვნო ის იყო, რომ ნანამ ნამდვილი ჩემპიონური ხასიათი გამოიჩინა. ბევრ სხვა მოჭადრაკეზე ეს წაგება დამღუპველად იმოქმედებდა. ჭადრაკის ისტორიიდან ძნელი როდია მსგავსი მაგალითების მოყვანა. მეორე დღეს ნანას არანაკლებ პასუხსაგები შეხვედრა ელოდა უახლოეს მდევარ ელენე რუბცოვასთან. ამ შეხვედრაში ორივე მეტოქემ თამაშის საუკეთესო კლასი გვიჩვენა და საბრძოლო ყაიმიც უდავოდ კანონზომიერი შედეგი იყო. აქედან დაიწყო გამარჯვებათა სერია, რითაც მან ყველა მეტოქე შორს ჩამოიტოვა. საერთოდ ტურნირის ყველაზე ამაღელვებელი ნაწილი ფინიშია. ნანას კი იგი არ აღელვებდა: თავს „ნება მისცა“ ბოლო სამი პარტია ყაიმით დაემთავრებინა!

ერთი სიტყვით, ჩემპიონატის შედეგები სრულიად კანონზომიერად უნდა მივიჩნიოთ. დებულების თანახმად, სამი გამარჯვებული (ტატიანა ზატულოვსკაია და ვალენტინა კოზლოვსკაია ჩაუთვლელად) საზონთაშორისო ტურნირში მონაწილეობის უფლებას იღებს. ელენე რუბცოვამ შუა შეჯიბრებაში თავი დაანება ოქროს მედალზე ფიქრს. იგი ცდილობდა ხელიდან არ წასვლოდა საზონთაშორისო ტურნირის საგზური. ნიჭიერმა მოსკოველმა ოსტატმა მიაღწია კიდეც მიზანს და პირველად ჩაებმება ნსოფლიო პირველობისათვის ბრძოლაში.

მაშ ასე, ნანასთან და ელენე რუბცოვასთან ერთად საბჭოთა კავშირიდან საზონთაშორისო ტურნირში გამოვლენ ნატალია კონოპლიოვა, ტატიანა ზატულოვსკაია და ვალენტინა კოზლოვსკაია. ზატულოვსკაიას და კოზლოვსკაიას ეს უფლება ადრევე ჰქონდათ მოპოვებული, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელ ასპარეზობაში გამარჯვებულთ.

საზონთაშორისო ტურნირის ადგილი და დრო ჯერ არ არის დანიშნული, მაგრამ ცნობილია, რომ იგი 1970 წელს მოეწყობა. სამი გამარჯვებული პრეტენდენტთა ასპარეზობაში გაიგრძელებს ბრძოლას (ეს შეჯიბრებაც გაისად მოეწყობა), ამასთან მათ ალა კუშნირიც შეუერთდება.

როგორია ნანა ალექსანდრიას შესაძლებლობანი მომდევნო შეჯიბრებებში? უდავოდ კარგი. ამასთან ისიც უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის ალა კუშნირის მდგომარეობა ყველა სხვა ოსტატთან შედარებით გაცილებით სახარბიელოა. ეს გასაგებია — ალა ბრძოლაში ჩაებმება უკანასკნელი სტადიიდან, ამასთან მას ყველაზე მეტი გამოცდილება აქვს.

მსოფლიო პირველობისათვის ბრძოლა მომავლის საქმეა. ახლა კი მინდა ნანა ალექსანდრიას მივულოცო შესანიშნავი ტრიუმფი — საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონობა!

ნონა გაფრინდაშვილი,
მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი ჭადრაკში.

როგორ უმოთვიდა ფეხბურთი საქართველოში?

იუმორესკა

ძნელია ამ კითხვაზე პასუხის გაცემა.

ალბათ, არავისთვის უკითხავს, დადვა თავი და შემოვიდა, მე შენ გიტყვი, დაკავებდა ვინმე, ნუ მოდიხარო.

დღევანდელ ეპოქაში, როცა ფეხბურთის პრობლემით მეცნიერებიც დაინტერესდნენ, ეს, ერთი შეხედვით უწყინარი და მარტივი კითხვა, თანდათან გაურკვეველობის ბურუსით იფარება. არის საბუთების ქექვა და ფაქტების ძიება: როგორ შემოვიდა, ვინ შემოიყვანა, იქნებ სულ არ შემოსულა და ადგილზევე იყოო.

ადვილი შესაძლებელია, მომავალში არქეოლოგებმა რომელიმე უძველეს სამარხში სტადიონის ბილეთი და მსაჯის სასტვენიც იპოვნონ. მაგრამ, მოდით, სანამ ეს მოხდებოდეს, ასალო ხუციშვილის აზრი მოვისმინოთ.

რასაც თქვენ ახლა წაიკითხავთ, ველაფერი ასალოს ნაამბობია.

ასალო თუ არ გინახავთ, ორი სიტყვით გაგაცნობთ: შემონახული ბერიკაცია, თვითონაც უკვირს, 80 წლის რომაა. უყვარს კარგი სმა-ჭამა და ძველი ამბების მოყოლა.

— ერთხელ ბურთს ვთამაშობდით ჭალადიდში.

ასალომ რომ დაგვინახა, გაჩერდა, გვიყურა, მერე ხმამაღლა ჩაახველა. ეს იმას ნიშნავდა, რაღაცა არ მოეწონა.

— რას შვრებით, თუ იცით? — გადმოგვძახა მაღლიდან.

— რა უნდა ვქნათ, ასალო ბაბუა, ბურთს ვთამაშობთ, — ავუხსენი მე, როგორც გუნდის კაპიტანმა.

— ჩოხას რომ არ კერავთ, მეც ვხედავ, მარა აგია თქვენი თამაში და ასე გინდათ ქვემოუბნელებს მოუგოთ? — იყვირა ასალომ. — შენ, რევაზია, ტყვილა გაქვს ერთი ქცივა თავი, ამხელაზე რომ დააცდინე ბურთს?

— რა მოხდა მერე, ვვარჯიშობთ, ნამდვილი შეხვედრა ხომ არაა? — თქვა რევაზიამ.

— ვარჯიში კი არა, თამაში არ იცით. „ლელოს“ მეც ვკითხულობ, მაგი რომ საქმეს შველოდეს. ჰაი გიდი ჩემო ახალგაზრდობავ...

შემოვხვიეთ გარშემო. ვიღას ახსოვდა ბურთი.

ჩამოჯდა ასალო თოხის ტარზე და დაიწყო.

— ფეხბურთიო, თქვენ რომ ახლა ეძახით, ბიძიებო, მისი თამაში ჩემისთანა ხალხმა დაიწყო პირველად ფოთში. ბათუმი და სოხუმიც ძაან მიყვარს, მარა ფოთი იყო პირველი და ვერ წავარომევ. ისე, ზღვა რომ ყოფილიყო, ჩოხატაურშიც დეიწყებოდა. ზღვას რა მნიშვნელობა აქვს, ახლა გეტყვით მაგას.

ფოთის ნავსადგურში მაშინ, ჩემო ბატონო, ინგლისის გემები იდგა. შავი ქვა მიჰქონდათ ფოთიდან. შემდეგ ჩატვირთავდნენ ხეებით, ხეებით, ხეებით. ერთ დღეს, შენ ხარ ჩემი ბატონი, შუა თამაშში რომ ვართ, გავიხედეთ და რას ვხედავთ: ჩამოსულან აგი ინგლისელები გემიდან, დგებიან ჩვენ თავზე და გვიყურებენ რაფერ გაგვაქვს ლელო.

ვიფიქრეთ, რაშია საქმე, რა მოხდა ასეთი, ფარცაკი ხომ არაა-თქვა და შევწყვიტეთ თამაში.

მეზღვაურებმა უკმაყოფილოდ თავი გააქნიეს, ნოუ და ნოუო, გვიძახეს, ესე იგი, მაგას ნუ იზამთო, შეგვეხვეწნენ.

თითო ღერი ინგლისური ყველამ ვიცოდით, მაგრამ არ გვეყო. მივაყოლეთ რუსულიც, ქართულიც, ხელიც, ფეხიც და ბოლოს მივხვდით, რომ ინგლისელებს ჩვენი ლელო მოსწონებიათ და თამაში გვასწავლეთო, გვთხოვდნენ.

ერთი ყველაზე ხნიერი და გამოცდილი კაცი იყო ჩვენს შორის, ბონდო ფიფია, — ჭკუით ვიყოთ ბიჭებო, არ ავჩქარდეთო, — დაგვარიგა.

— გვასწავლე და გვასწავლეო! — არ მოგვეშვნენ ინგლისელები.

— ჩვენ რომ ლელო გასწავლოთო, — უთხრა ფიფიამ, — წახვალთ ინგლისში და ჩვენ რაი მერეო? არა, მასე არ გამოვა.

— თქვენ თუ ლელოს გვასწავლით, ჩვენ ფუტბოლს გასწავლითო, — გვითხრეს მეზღვაურებმა

— ფუტბოლი რააო? — გაგვიკვირდა ჩვენ.

გაიძრეს ინგლისელებმა უცებ ტანზე და გვიჩვენეს რაც იყო ფუტბოლი. უხათქუნებდნენ ბურთს რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, სადაც ფეხით ვერ შესწვდებოდნენ, იქ თავსაც ახმარდნენ.

შევხედე ბიჭებს და შევატყვე, მოეწონათ თამაში, მარა არ იმჩნევენ, ვითომც არაფერიო

— მაგი ფუტბოლი კი არა, ფეხბურთი ყოფილაო, — თქვა ფიფიამ, — მართალია, ჩვენს ლელოს ვერ შეედრება, მარა, თუ ძაან გულით გინდათ, არ გაწყენინებთ, გავცვალოთო.

ვასწავლეთ ერთმანეთს თამაში...

მეორედ რომ ჩამოვიდნენ, გაუკვირდათ, მისამე წელს რომ შევეჯიბრეთ და მოვუგეთ, ასე გვითხრეს, გცოდნიათ მაგი თამაშიო, სწორედ თქვენი საქმე ყოფილა და აღალი იყოსო!

მას აქეთ შევეცვიყვარდა ფეხბურთი. ინგლისელებიც ძაან შეეწყვნენ ლელოს, გაზეთებში წავიკითხე, მათებურად „რეგბი“ დაურქმევიათ.

ასე იყო ბიძიებო, გინდა დაიჯერეთ, გინდა არა, ასე შემოვიდა საქართველოში ფეხბურთი და ასე გადარია ქვეყანა.

ალექსანდრე სამსონია

ხელმარჯვედ სცემენ ჩოგანსა

● ტაშკენტში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირადი პირველობა ჩოგბურთში. გვახსენებს ჩვენი რესპუბლიკის წარგზავნილები. ალექსანდრე მეტრეველმა ზედიზედ დაამარცხა მოწინააღმდეგენი და ფინალში გავიდა. აქ მისი მეტოქე საკმაოდ ცნობილი ჩოგბურთელი ვლადიმერ პალმანი იყო. მეტრეველმა ფინალშიც ჩვეული ოსტატობით იასპარეზა და სსრ კავშირის ჩემპიონი გახდა.

● ტაშკენტიდან კიდევ ერთი ქართველი სპორტსმენი დაგვიბრუნდა ოქროს მედლით. დიდი ჩოგბურთის უკანასკნელი აკორდი შერეულ წყვილთა ასპარეზობა იყო. მოწონება დაიმსახურა მარიამ ჩუვირინასა და თბილისელი თეიმურაზ კაკულიას თამაშმა. მათ საკმაოდ ადვილად დაამარცხეს პირველობის აღიარებული ფავორიტები და სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ.



სურათზე: ალექსანდრე მეტრეველი (მარჯვნივ) და თეიმურაზ კაკულია.

დაგეძებენ, მოგელიან

შალვა პეტრეს ძე ჯალაღონიას,

დაბადებულს 1919 წელს გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღებში, ეძებენ დედა—**ადელი,** ძმები — **დავით, კალისტრატე, კოტე ჯალაღონიები.**

გიორგი გიორგის ძე გილაშვილს,


დაბადებულს 1920 წელს საგარეჯოში, ეძებენ დედა — **მარო,** და — **რუსუდან გილაშვილები,** მცხოვრებნი საგარეჯოში, გულისაშვილის ქუჩა № 10.

კონდრატე ირაკლის ძე შანიძეს,

დაბადებულს 1908 წელს ტყიბულის რაიონის სოფელ ოჯოლაში, ეძებენ მეუღლე — **იულია ტურაბელიძე-შანიძისა,** შვილები — **ნათელა** და **ლიანა შანიძეები,** მცხოვრებნი ქუთაისში, გელათის ქუჩა № 57.

რედაქტორი
ვახტანგ ესვანჯია

გამოიწერეთ გაზეთი „სამშობლო“!



უცხოეთის ვალუტის კურსის ბიულეტენი

სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკი

1969 წლის ნოემბერი

ვალუტის დასახელება		კურსი მანეთობით
ავსტრალიის დოლარი	1	1,01
ავსტრიის შილინგი	100	3,49
ავღანეთის ავღანი	100	2,01
ალბანეთის ლეკი	100	18,00
ალჟირის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დინარი	100	18,23
არგენტინის პესო	100	0,26
აშშ-ს დოლარი	1	0,90
ახალი ზელანდიის დოლარი	1	1,01
ბელგიის ფრანკი	100	1,81
ბირმის კიატი	100	18,90
ბულგარეთის ლევი	100	76,92
განის სედი	1	0,88
გვინეის ფრანკი	1.000	3,65
გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მარკა	100	40,50
გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მარკა	100	24,40
დანიის კრონი	100	11,97
ეგვიპტის გირვანქა	1	2,07
ეთიოპიის დოლარი	100	36,00
ერაყის დინარი	1	2,52
ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დონგი	100	30,60
თურქული ლირა	100	10,00
ინდოეთის რუპია	100	12,00
ინგლისის გირვანქა სტერლინგი	1	2,1520
ინდონეზიის რუპია	1.000	2,37
იაპონიის იენი	1.000	2,51
ირანის რიალი	100	1,19
ისლანდიის კრონი	100	1,02
იტალიის ლირა	1.000	1,4398
იუგოსლავიის დინარი (ახალი)	100	7,20
კამბოჯის რიელი	100	1,62
კანადის დოლარი	1	0,8364
კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ვონი	100	74,93
კუბის პესო	1	0,90
ლიბანის გირვანქა	100	27,71
ლიბიის გირვანქა	1	2,52
მალაის დოლარი	100	29,40
მალის ფრანკი	1.000	1,62
მაროკოს დირჰამი	100	17,78
მექსიკის პესო	100	7,21
მონღოლეთის ტუგრიკი	100	22,50
ნეპალის რუპია	100	8,89
ნორვეგიის კრონი	100	12,59
პაკისტანის რუპია	100	18,80
პოლონეთის ზლოტი	100	22,50
რუმინეთის ლეი	100	15,00
საფრანგეთის ფრანკი	100	16,13
სირიის გირვანქა	100	23,68
სომალის შილინგი	100	12,60
საბერძნეთის დრაქმა	100	3,01
სუდანის გირვანქა	1	2,59
ტუნისის დინარი	1	1,71
უნგრეთის ფორინტი	100	7,67
ურუგვაის პესო	100	0,36
ფინეთის მარკა	100	21,43
ცეილონის რუპია	100	15,10
შვეციის კრონი	100	17,43
შვეიცარიის ფრანკი	100	20,89
ჩეხოსლოვაკიის კრონი	100	12,50
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის იუანი	100	45,00
ჰოლანდიის გულდენი	100	25,06

ძვირფასო თანამემამულენო,

გაზეთ „სამშობლოს“ მკითხველებო!

ცხადდება ხელმოწერა 1970 წლისათვის გაზეთ „სამშობლოზე“.

უცხოეთში მცხოვრებ ჩვენს თანამემამულეებსა და ყველა მოქალაქეს შეუძლია გამოიწეროს გაზეთი „სამშობლო“ საზღვარგარეთის იმ ფირმებში, სადაც არსებობს საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ (V/a „Mezhdunarodnaya Kniga“) წარმომადგენლობა და იყიდება საბჭოთა გამოცემები.

გაზეთის ერთი წლით გამოწერა ღირს 2 ამერიკული დოლარი.

სხვა ქვეყნების ვალუტით გამოწერისას გაზეთის ღირებულება იანგარიშება ხელმოწერის დღეს სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად.

შეგახსენებთ!

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა — გაზეთი „სამშობლო“ გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის მე-2 და მე-4 პარასკევს, რვა გვერდად. იგი ასახავს ჩვენი დედასამშობლოს კულტურულ, ეკონომიურ, პოლიტიკურ ცხოვრებას, აშუქებს ლიტერატურის, ხელოვნების, მეცნიერების, ისტორიის, სპორტის, ქართული ზნე-ჩვეულების, ყოფა-ცხოვრების საკითხებს.

არ დაგავიწყდეთ გაზეთ „სამშობლოს“ დროულად გამოწერა!

სად შეიძლება გამოიწეროთ გაზეთი „სამშობლო“?

იხილეთ საკავშირო გაერთიანება „საერთაშორისო წიგნის“ წარმომადგენლობის ზოგიერთი მისამართი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში:

ავსტრალია

New World Booksellers,
425, Pitt Street,
Sydney, N. S. W.

Spring Bookshop,
7 Collins Street,
Melbourne, Victoria

Peoples Bookshop,
205 Brunswick Street, Valley,
Brisbane, Queensland

ავსტრია

15 — 10
Globus, Vaz
Hoechstaedtpl. 3
A-1200 Wien, Osterreich

ალჟირი

SNED 3, Bd. Zirout Youcef
Alger

აშშ

Stechert-Hafner, Inc.,
31 East 10th Street,
New York 3, N. Y.

Schoenhof's Slavic Books, Inc.,
1280 Massachusetts Avenue,
Cambridge 38, Mass.

ახალი ზელანდია

Progressive Books,
14 — 16 Darby Str.,
Auckland C. I.

ბელგია

Librairie
Du Monde Entier
Place St. Jean, 5
Bruxelles

ბრაზილია

Livraria «Intunliv»
Rua Senador Dantas 117,
Sobre Loja 206,
Rio de Janeiro

Livraria «Stjepan Rozov»
Rua 24 de Maio, 35,
Sala 1213
São Paulo

დასავლეთ ბერლინი

Kawe
Kommissionsbuchhandlung
I Berlin 12 (Charlottenburg)
Hardenbergplatz 13

დასავლეთ გერმანია

Brücken-Verlag GmbH
Ackerstraße 3 (Worringerplatz)
4 Düsseldorf I

W. E. Saarbach GmbH
Ausland-Zeitungshandel
5 Köln I
Postfach 1510

Presse-Vertriebs-Gesellschaft mbH
Börsenstraße 13 — 15
6 Frankfurt am Main

ეგვიპტე

Modern Age Establishment
Dar-El-Shark Bookshop,
8, Talaat Harb Str.,
Cairo

ინგლისი

Central Books Ltd.,
37 Grays Inn Road,
London W. C. I

Collet's Holdings Ltd.,
Denington Estate,
Wellingborough, Northants

ინდოეთი

People's Publishing
House (Private) Ltd.,
Fani Jhansi Rd.,
New Delhi-1

ირანი

Bookstore Sako Hovsepian 48,
Avenue Marshal Stalin,
Teheran

«Gutemberg»
Khiabane Manuchehri,
Teheran

იტალია

Associazione
Italia — URSS
Via Edilio Raggio, 1 — 6
16124 Genova

Associazione
Italia — URSS
Sezione di Milano
Via Dogana, 4
Milano

So. Co. Lib. Ri.
Piazza Margana, 33
00186 Roma

კანადა

Periodica, Inc.,
7045 Avenue du Parc
Montreal 15, Que.

კუბა

Distribuidora Nacional
de Publicaciones
Neptuno, 674, Apartado
1356
Habana, Cuba

ნორვეგია

Tanum-Cammermeyer
(Subscription-Centre)
Karl Johansgt. 43
Oslo I

პაკისტანი

Standard Publishers, Ltd.,
3/10, Liaquat Avenue,
Dacca-1

საბერძნეთი

«Themelio»
57 Akademias,
T. T. 143,
Athens

საფრანგეთი

Librairie du Globe
2, rue de Buci
75 — Paris 6e

Les Livres Etrangers
10, Rue Armand Moisant
75 — Paris 15e

სირია

Alep
General Press Company
Nizam Bros Kayyali
29 Ayyak Street
P. O. Box 2366
Damas

ურუგვაი

«Anteo Ltda»
18 de Julio 1333
Montevideo

შვეიცარია

Genossenschaft
Literaturvertrieb
46, Feldstraße
8004 Zürich

Naville et Cie
5 — 7, rue Lévrier
Genève

ჩილე

Empresa Editora «Austral» Ltda.
Casilla 13201, San Francisco 36
Santiago de Chile

ჰოლანდია

«Pegasus» Boekhandel,
Leidsestraat 25
Amsterdam

ABONNEZ VOUS AU JOURNAL «SAMCHOBLO» POUR 1970!

ჩვენი მისამართია: გაზეთ „სამშობლოს“ რედაქცია — თბილისი, რუსთაველის გამზირი № 42. ტელეფონები: 93-68-44, 93-56-25.
უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება — თბილისი, გიორგი ათონელის ქუჩა № 2